140
1973

ვარსკვლავი

3
1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩვენც თქვენთან ვიჭნეებით

„დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს კომკავშირელები, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც ყოველთვის, იდგებიან მოწინავე მიჯნებზე შრომასა და სწავლაში. მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს უნდა გამოვლინდეს რესპუბლიკის მთელი მრავალეროვანი ახალგაზრდა გვარდიის ნიჭი და მამაცობა. იგი უნდა გახდეს ჩვენთვის ახალ შესანიშნავ გამარჯვებათა წელი, დიდი შრომითი და რევოლუციური წრთობის წელი".

ეს სიტყვები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ თქვენი უფროსი და-ძმების, კომკავშირელების მისამართით თქვა. მაგრამ საქართველოს პიონერია, რომელიც მუდამ ეამს ყველაში უდგას თავის აღმზრდელ კომკავშირს, ახლაც სასახელო პიონერული საქმეებით შეიტანს თავის პატარა წვლილს ქვეყნის საკეთილდღეო შემოქმედებით შრომაში.

ყველა პიონერული რაზმეული, რაზმი, რგოლი, თითოეული პიონერი, სადაც არ უნდა იყოს ის, თავს ამ დიდი, პატრიოტული მოძრაობის მონაწილედ უნდა თვლიდეს! დაე ყველგან, ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში გაისმოდეს თქვენი მტკიცე ხმა:

„ჩვენო აღმზრდელო კომკავშირო, ჩვენც თქვენთანა ვართ. საკოლმეურნეო მინდვრებში, ჩაის პლანტაციებში თუ მეცხოველეობის ფერმებსა და მშენებლობებზე ყველგან გვიგულეთ, ყველგან მივაწვდენთ ჩვენი პატარა გულებისა და ხელების სითბოს, საბანგებოდ გავირჯებით იხე, რომ მშობლიურმა ხალხმა და პარტიამ გვითხრას: ყოჩაღ, პატარებო!"

ხვამლის მთას ჩიტის ბუდესავით აჰკვრია სოფელი მექვენა, რომლის „ფერხთით“ მკაცრსა და ულამაზეს ხეობაში, ცისფრად მიედინება რიონი.

ამ სოფელში დგას 8-წლიანი სკოლის პატარა ფიცრული შენობა. მექვენელი ბავშვების სწავლა-აღზრდის ეს ძვირფასი კერა ირგვლივ ატეხილ „ედემის ბაღშია“ ჩაფლული.

ვინ მოისხა ბუნების ეს მადლი?

აბა, სიტყვა როგორ მოერევა მარჯვენით ნამოღვაწარს, მაგრამ ვინც კი თავისი თვალით იხილავს ამ სილამაზეს, გული არ გაუძლებს, რომ კეთილად არ მოიხსენიოს მშობლიური ბუნების მოამაგე ეს მექვენელი მოსწავლეები.

მახა და ზანდური

მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ XXIII კონფერენციის ნორჩ ბიოლოგთა სექციის სხდომაზე აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა რაჭა-ლეჩხუმის კუთხის მოსწავლეების საყურადღებოდ განაცხადა, რომ ხორბლის უძველესი ჯიშები — მახა და ზანდური, რომლებსაც მათი მამა-პაპანი თესავდნენ ამ მხარეში, უკვე ოცი წელიწადია გადაშენდა. სახელოვანმა მეცნიერმა ნორჩ ნატურალისტებს მოუწოდა ამ ძვირფასი რელიქტური ხორბლის ჯიშების აღდგენა და სასელექციოდ მოშენება.

ამავე სხდომაზე მექვენის მოსწავლეთა სახელით ბიოლოგია-ქიმიის მასწავლებელმა (იმჟამად სკოლის დირექტორმა) ვლასი ნემსაძემ პატივცემულ ნიკოს პირობა მისცა, რომ ისინი ხელს მოჰკიდებდნენ ამ საპატიო საქმეს, თუ თესლი და საამისოდ ნაკვეთი ექნებოდათ. აკადემიის ბოტანიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მექვენის სკოლას მახასა და ზანდურის თესლი გაუგზავნა. ამ სასიკეთო საქმისათვის სოფელი ნაკვეთს დაუჭერდა? და აი, 1968 წელს ისევ ჩავარდა მშობლიურ მიწაში ამ ხორბლის მარცვლები, ისევ ამოიწვერა პირველი ჯეჯილი... ეს უძველესი, ქვის ხანის ხორბალი, თურმე ეგვიპტის პირამიდებშიც უნახავთ. ხორბლის სხვა ჯიშებისაგან განსხვავებით, მისი თავთავი კი არ ილეწება, იცეხვება. დღესაც არის სოფელში ეს საცეხვები შემორჩენილი. ამ ხორბლის პირველი მოსავლიდან სკოლამ მახასა და ზანდურის თესლი დაუგზავნა რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის რამდენიმე სკოლას, ცაგერის რაიონის სოფელ ნასპერის კოლმეურნეობას, თბილისის 140-ე სკოლას, ხოჭის 44-ე სკოლას და სხვ.

დაე, მახა და ზანდური კვლავ მომძლავრდეს მღელვარე ყანებად!

დენდრარიუმი

სკოლას გარს აკრავს მოსწავლეთა ხელით გაშენებული დენდრარიუმი. მისი მცენარეები, საპროგრამო მასალის შესაბამისად, იარუსებად არის განლაგებული. რომელ იშვიათ მცენარეს აღარ დაუდვია აქ ბინა! აღმოსავლეთის ნაძვი, კავკასიის სოჭი, ადგილობრივი ფიჭვი, წყავი, შქერი, მთის ჩადუნა, ირმის ენა, თეთრი და წითელი ყაყაჩოს ბუჩქები...

გასულ წელს მექვენელმა ნორჩმა

ექსკურსია მდინარე რიონის ხეობაში. ბუნების ნორჩი მეგობრები ეცნობიან მცენარეთა სახეობებს და წულისმიერ ეროზიულ მოვლენებს.

ჟიურნალი

3
მარტი
1973

საქართველოს ასკა ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური სახელმწიფო პიონერული სასპორტო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

12178

ნატურალისტებმა ეროზიული ნიადაგის გასამწვანებლად შოვის მთიდან 200 ძირი კავკასიის სოჭი ჩამოიტანეს, ხვამლის მთიდან კი — 300 ძირი ბუნებრივი ფიჭვის ნერგი. მათ იციან — ეს ნერგები იმ ადგილებიდან უნდა წამოიღონ, სადაც ტყეს გამოხშირვა სჭირდება, რათა გათამამდეს ხე, მომძლავრდეს ტყე. სკოლის დენდრარიუმი, მხარეთმცოდნეობაშიც უწყობს ხელს მოსწავლეებს. აქ თავი მოუყარეს ფიტოცენტურ მცენარეებს, რომლებიც დიდი რაოდენობით გამოჰყოფენ აქროლად ნივთიერებებს, აჯანსაღებენ ჰაერს, ადამიანს...

ნორჩების მარჯვენამ გადაშენებისაგან იხსნა აგრეთვე ლეჩხუმში ადრე გავრცელებული ვაზის უძველესი ჯიშები — კაპიშტონი, ალადასტური და აფხაზური.

— მოდი ვცადოთ, იქნებ კახურმა რქაწითელმაც არ დაგვიწუნოს მიწა და აქაც დასახლდეს, — თქვეს ბავშვებმა და მალე სიტყვა საქმედ აქციეს: ოთხიოდე წლის წინ 100 ძირი რქაწითელი ჩაყარეს სკოლის ნაკვეთზე. „კახური" ვენახი უკვე ხარობს, ყვავილობს და რთვლობს მექვენის მიწაზე!

მზრუნველი მარჯვენის მადლი ჰფენია ხილის ბაღსაც... მყნობით გამრავლებული თურაშაული, ყინულა და სხვა ძვირფასი ჯიშები თვალს ახარებენ, გულს კი სიამაყით ავსებენ, რომ სამშობლოს ასეთი მოამაგენი ეზრდებიან.

ვარდი — „ვაჟა-ფშაველა"

აქ თავმოყრილ ბუნების სიმდიდრეში პატიოსანი თვალივითაა ჩასმული ვარდ-ყვავილნარი. მარტო 260 ძირი, ასკილზე დამყნობილი 8-12 წლის ასაკის ვარდი ხარობს!

მოსწავლეები ვარდ-ყვავილებზე ფენოლოგიურ დაკვირვებებსაც ახდენენ: არკვევენ ბუჩქზე ვარდის ყვავილობის ხანგრძლიობას სხვადასხვა ტემპერატურის დროს, ჯიშების მსხმოიარეობას... დაადგინეს: თურმე, მირანდის ჯიშის თითოეული ძირი ვარდი წლის განმავლობაში 1500-1700 ცალ ყვავილს იბამს. ამოდენა ყვავილების დათვლა ხუმრობა საქმეა? ისიც წელიწადში ოთხჯერ! მაგრამ ნორჩმა ნატურალისტებმა ხერხი იციან — ითვლიან დაყვავილების შემდეგ მცენარეზე დარჩენილ თესლს, რომელსაც სათითაოდ აცლიან ხოლმე, რათა არ გახმეს და უფრო უხვად იყვავილოს...

გაზაფხულის ამ მზიან და ცრიატ დღეებში ვარდყვავილნარში ფუსფუსებენ გურამ ბანძელაძე, ბონდო ნემსაძე, ტრისტან მიშვიძე. ასი ძირი ასკილი აქვთ ტყიდან მოსატანი და დასარგავი, რომ ივლისში ახალი ვარდის ჯიშები დაამყნონ...

მექვენელმა ნორჩმა ნატურალისტებმა ჯერ კიდევ ამ რვა წლის წინათ წითელყვავილა ასკილზე დაამყნეს ვარდი „სლავა მირა". ახალმა ნაყოფმა ორივე მცენარის ნიშან-თვისებები გამოიყოლა: ფერი — ასკილის ყვავილის, სიდიდე კი — „სლავა მირასი". წლების მანძილზე ბავშვები აკვირდებოდნენ ახალ ყვავილს და არაკეთარი ცვლილება არ შეუმჩნევიათ, ამიტომ შეიძლება ეს ყვავილი, ახალ ჯიშად ჩაითვალოს, ამ სკოლაში გაშოყვანილ ჯიშად. ბავშვებს სურთ ამ ვარდს „ვაჟა-ფშაველა" უწოდონ.

გაზაფხული დადგა

გაზაფხული დადგა და ნორჩ ნატურალისტებს საქმე მოეძალათ. შე-

იხედეს სანერგეში, სადაც სამი კილოგრამი ასკილი აქვთ დათესილი ვარდის საძირეებად.

როცა აპრილი მობრძანდება, დაამყნიან 100 ძირ ცოლიკაურის ვაზსა და 40 ძირ ვაშლს.

ეს საით გაუწევიათ მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს ბარებით? სიმღერით მიჰყვებიან გზას დ. ბანძელაძე, თ. ასათიანი, გ. ნემსაძე, ა. ხარაბაძე, ა. ქებულაძე... საით და დენდროპარკისათვის ტყიდან 30 ძირი წყავის ბუნებრივი ნერგი უნდა ჩამოიტანონ.

მექვენელმა ნორჩმა ნატურალისტებმა განსაკუთრებული ცდა-დაკვირვება უნდა ჩაატარონ გოგრის კულტურაზე. მიმდინარე წლის ნოემბერში ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური გამოფენას აწყობს და ამათაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. საჩუქრად კი სოჭის, ნაძვისა და ფიჭვის ნერგებს წაიღებენ.

მზრდელი ყრმათა

მექვენის ნორჩი ნატურალისტების ამ შინაარსიანი სწავლა და შრომა-საქმიანობის სულისჩამდგმელია ბიოლოგია-ქიმიის მასწავლებელი ვლასი ნემსაძე.

ეს შესანიშნავი პედაგოგი და მშობლიური ბუნების მოტრფიალე ადამიანი თავის მამულიშვილურ მოვალეობად თვლის მოსწავლეებსაც შთაუნერგოს მიწის სიყვარული, აზიაროს ბუნების მშვენიერებას, აჩვენოს მისი დიდი სიკეთე.

პატივცემული პედაგოგის პირადი არქივი სავსეა მეგობრული ბარათებით—საქართველოს ყოველი კუთხიდან კეთილ სიტყვას აწევენ მისი საქმიანობით გულგახარებული ადამიანები, სთხოვენ რჩევას, დახმარებას, უზიარებენ თავიანთ სურვილებს.

ამაგდარი მასწავლებელი სასოებით ინახავს აკადემიკოს ნ. კეცხოველის ბარათებსა და წარწერებით მიძღვნილ საკუთარ წიგნებს: „ცხრათვალა მზის ქვეშ“, „მორბის არაგვი“ და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსაგან ჯილდოდ მიღებული სიგელები და დიპლომები კიდევ ერთხელ მოწმობენ ამ მოამაგე მასწავლებლისა და აღმზრდელის თავდადებას.

პატივცემული ვლასი არის ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური საზოგადოების საპატიო წევრი; დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, მასწავლებლისთვის ჯილდოა ყველა ის დიდი სიკეთეც, რასაც თესავენ მისი მოსწავლეები მშობლიური კუთხის მიწა-წყალზე.

ბუნების ნორჩი მეგობრები: ნ. კვატაშიძე, მ. ბანძელაძე, ნ. მიშვიძე, ლ. კვატაშიძე, ნ. მანგიძე, ნ. ბანძელაძე და სხვები დაჯილდოებულები არიან პიონერთა სასახლის ქების სიგელით და პირველი ხარისხის დიპლომებით. აი, რა ახარებს ამ ყრმათა აღმზრდელს.

დაე, სულ გამარჯვებით ევლოთ მექვენელ ნორჩ ნატურალისტებს!

ქეთევან ჭილაშვილი.

სკოლის დენდრარიუმის ხედი

ბუნების ნორჩი მეგობრების მიერ გაშენებული ნაძვნარი სკოლის ეზოში

ნოდარ შამანაძე

ცხვრის თვალები

მხატვარი
ზ. მეძმარიაშვილი

მოთხრობა*

დიმა დაიკარგა

მთელი დღე თავთავებს ვკრებდი. დავიქანცე. მინდოდა მალე დაღამებულიყო, მაგრამ მზის ჩასვლას არაფერი ეშველა. ვიფიქრებდი, ან ახლა ჩაიწურება, ან ახლა-მეთქი, მივხედავდი და... თითქოს ერთ წერტილში იყო გაქვავებული. უცებ ენაზე ერთი ძველი ლექსი მომადგა. მივუბრუნდი მნათობს:

მზეო, სხივების კონიავ,
დედაშენს ვაჟი ჰყოლია,
აკვანი არა ჰქონია.
დედაც ტირის და ვაჟიცა,
რამდენი ცრემლი დაიქცა!
წადი, მიართვი აკვანი,
აღარ გვსურს შენი ლამპარი.

— რას ბუტბუტებ, ბიჭო? — წელში გაიმართა კეკე დიდედა და მოქუჩებული თავთავების კონა ხელში შეათამაშა.

— მზეს შევულოცე.

— შელოცვის რა იცი, ბიჭო, შენ?

— პაპამ მასწავლა, მზე გაიგონებს და მალე ჩავაო.

— აი, შე ცულლუტო! ბუკნაჭო ხომ არა ხარ, მზის ჩასვლას რომ შეჰხარი? იყოს ეს დალოცვილი, რა ჯობია ამის ყურებას! — კეკე დიდედამ მზე ისე სასოებით შეათვალიერა, თითქოს უკანასკნელად უყურებსო. მერე გზას გახედა და გაკვირვებით იკითხა:

— ცხენს რომ მოაგელვებს, ვინ არის ნეტა?!

მხედარი ახლოლა შევამჩნიე. ცხენს ისე თავდაუზოგავად მოაჭენებდა, ან მთვრალი უნდა ყოფილიყო, ანდა რაღაც საჩქარო საქმე უნდა ჰქონოდა. გზა რომ ამოათავა, ნაპურალში შემოიჭრა და ბედაური პირდაპირ მცელავებთან მიაგდო. ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე აღმოჩნდა. მეც იქით გავიქეცი.

— ბავშვი მოვიდა? — ჰკითხა პაპას.

— ვინ ბავშვი?

— შენ რომ ჩამოიყვანე! — შემოუძახა ლადომ.

— დიმა? — გამოერკვა პაპა.

— ჰო, დიმა! — გამოჯავრებით თქვა ლადომ და განაგრძო: — უთენია თვალსა და ხელს შუა გაპარვიათ სადღაც და ველარ უპოვიათ. მთელი რაიონი შეწრიალებულია...

— ღმერთო, რაღადა ვარ ცოცხალი! — ამოიგმინა პაპამ.

— იქვე იქნება სადმე მიმალული! — გააიოლა კეკე დიდედამ.

— სულ გადაატყავეს იქაურობა... უკანასკნელი იმედი ესღა იყო: აქ ეგონათ! — თქვა ლადომ და, თითქოს ყველაფერში ცხენია დამნაშავეო, მათრახი გადაუჭირა. ცხენმა მხედარს თავი წაართვა და გაქუსლა...

— ეჰე! — ამოიოხრა პაპამ. — დიმა ამაღამ რომ გარეთ დარჩეს, კიდევ ივარგებს კაციშვილად?!

— მოვძებნოთ! — წამოიძახა ერთმა.

— სად? ეძებე ქარი მინდორში! — მიუგო მეორემ.

— სხვაგან სად წავიდოდა?! უეჭველად ჩემთან გამოიპარებოდა... — თქვა პაპამ.

— თუ შენთან წამოვიდა, სად არის აქამდე? — ჩაერია მეოთხე.

— ალბათ, გზა დაებნა, — თავი გადაიქნია კეკე დიდედამ.

— ხეურასაკენ წავიდოდა, სხვა გზა მან არ იცოდა... — წამოიწყო პაპამ, მაგრამ უმალ შეაწყვეტინეს:

— თუკი იცი, საითაც წავიდოდა, რაღას გავჩერებულვართ!

პაპამ მეზობლებს გადახედა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: — თქვენ აგაშენოთ ღმერთმაო.

ცელები კაკლის ქვეშ დაალაგეს და ყანას ფეხაჩქარებით დაუყვნენ.

— ყველანი მიდიხართ?! — დაადევნა კეკე დიდედამ. — ბრიგადირი რომ მოვა, მოიკლავს თავს!

— ჩვენ ვიცოდეთ და ბრიგადირმა! — უპასუხა ერთმა, ყველაზე უკან რომ მიდიოდა.

მეც მინდოდა წავყოლოდი, მაგრამ პაპასი მერიდებოდა, — მაინც ვერ არის გუნებაზე და ჩემს გამო არ გაბრაზდეს-მეთქი. თავდაღმართს რომ ჩაეფარნენ, აჩიკოს მოვკარი თვალი, სიმინდებში მიძვრებოდა, ბერიკაცებს თავს უვლიდა. გავქანდი, მაგრამ რა გავქანდი — ღელის გაღმა გასულთ წამოვეწიე.

— ესეც მოდის? — იკითხა ერთმა.

— წამოვიდეს. დიმა მაგის პირველი ძმაკაცია! — თქვა პაპამ და წარბები ოდნავ გაეხსნა. — თავთავები დიმასთან მოგაქვს, შვილო?!

ახლოლა შევამჩნიე: მარცხენა მუჭი თავთავებით მქონდა სავსე. პაპამ ჩამომართვა და წინსაფრის ჯიბეში ჩაიჩურთა.

ასიოდე ნაბიჯი გავიარეთ და აჩიკო შემოგვიერთდა. ქვა-ღორღიან, ტიტველ გორაკებს რომ მივუახლოვდით, ბრიგადირი წარმოგვეწია.

— შენც წამოხვედი?! — გაიკვირვა პაპამ.

— მე რა, გული არა მაქვს თუ?! — იწყინა ბრიგადირმა. — ყანა ხვალაც მოსამკალი რომ დავგრჩეს, მაინც არა უშავს. ზეგ მოვმკით. ბავშვს კი დროზე თუ არ მივატანეთ ხელი, მერე გვიან იქნება.

გორაკები ავიალმართეთ და ხეურას გადავხედეთ, პაპამ თქვა: ახლა დავიფანტოთ და მდინარის ნაპირებს მოვედოთ, დიმას წყალში ჭუმპალი უყვარს. ოღონდ, ნუ ვიხმაურებთ, თორემ მისი ამბავი რომ ვიცი, დაგვიფრთხება და თვალით ალარ დაგვენახებაო.

მე და აჩიკო პაპას გავყევით, დანარჩენები კი აქეთ-იქით წავიდნენ.

მდინარეს ნაპირ-ნაპირ ავყევით.

—ჰაი დედასა, რა მიქნეს, როგორ მომწყვიტეს მკერდიდან ბავშვი! ჩემს დიმას უპატრონო ბავშვთა სახლში

* დასასრული. იხ. „პიონერი“ №1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდოდა! — ჯერ ხმადაბლა წამოიწყო პაპამ, მერე თანდათან შეუმაღლა: — ჯვარი სწერია და, ბიჭი რომ რამე ხიფათს გადაეყაროს, ან თავს მოვიკლავ, ანდა ვიღაცას გავისტუმრებ მამაჩემის გზაზე!

— ვიპოვით, ნუ გეშინია, პაპა! — შევძახე ჩემდაუნებურად.

პაპა მობრუნდა და დაყვავებით მითხრა:

— ვიპოვით, შვილო, აბა არა! ჩვენი დიომა ეშმაკია, ომს გადაურჩა და აქ რა უნდა გაუჭირდეს!

ცოტა ხანს გაყუჩდა, მერე მე და აჩიკოს მოგვიბრუნდა:

— შესძახეთ, შეეხმიანეთ, შვილებო! თუ სადმე სძინავს ანდა დამალულია, თქვენს ხმაზე უეჭველად გამოგვიჩნდება...

ჩვენც ეს გვინდოდა. დიომას სახელი მდინარის ორივე ნაპირს მოვფინეთ. ბერიკაცებიც თურმე ამას ელოდნენ: ახმაურდნენ, აყაყანდნენ. ამასობაში კიდეც მობინდდა და თანდათან ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი.

— რა ვქნათ, ჰა? — წამოიწყო ერთმა ნაღვლიანად.

— რას ვიზამთ, წავიდეთ შინ. წიწილა ხომ არაა, ქორმა წაიღოს და დაიკარგოს?! გამოჩნდება! — თქვა მეორემ.

პაპამ ჯერ ერთს გადახედა, მერე — მეორეს, შემდეგ უხმოდ გადადგა ორიოდე ნაბიჯი და თხმელის ძირას დაჯდა.

— ახლა დაჯდომის დროა, ხარებ?! — უსაყვედურა ბრიგადირმა. — დავუჩქაროთ, თვარა შინ როდის მივბრატუნდებით!

— წავიდეთ! — ახლა უკვე ხმამაღლა შეძახა მეორემ.

— წავიდეთ! — დაეთანხმნენ სხვებიც.

— ამაღამ მაინც არ დამეძინება და ბარემ აგერ გავათენებ... თქვენ წადით! — ამოილაპარაკა გვიანგვიან პაპამ.

— ჩვენ წავიდეთ და შენ დაგტოვოთ? ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიქირქილა ბრიგადირმა, მივიდა, პაპას მკლავში ხელი მოჰკიდა და ძალით წამოაყენა.

თქვენ უკეთ იხედებითო, გვითხრეს ძმებს და წინ გაგვიძღოლეს. მიდიოდნენ და მიხმაურობდნენ, ლაპარაკობდნენ მთისას და ბარისას. ყველა ცდილობდა, რაღაც სამხიარულო ეთქვა. სასაცილოს იტყოდნენ თუ არ იტყოდნენ, ბრიგადირი მაინც ხარხარებდა. დროდადრო სხვებიც ჩაიცინებდნენ ხოლმე. ერთი-ორჯერ მე და აჩიკომაც ჩავიხითხითეთ. მარტო პაპა დუმდა...

ჩვენს ორღობეში რომ შევედით, დედა გამოგვეგება და მოგვახარა: დიომა შინ არისო.

— შენს პირს შაქარი, მართა! — შესძახა ბრიგადირმა და პაპას მიუბრუნდა: — ხომ გითხარი, გამოჩნდება-მეთქი!

— ვინ მოიყვანა? — იკითხა პაპამ.

— მეწისქვილემ. — უპასუხა დედამ და სიცილით დაუმატა: — წისქვილში მისულა ის ეშმაკი და იქაურობა აუკლია: გინდათ თუ არა, ხარება კამკამიძესთან წამიყვანეთო...

— გაგახაროს ღმერთმა, შვილო! — უთხრა პაპამ დედას და მერე ბერიკაცებს მიუბრუნდა: — მაღარიჩი შემოდგომამდე მაცალეთ, ბიჭებო!

არაჩვეულებრივი დღე

არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლაც ასე იყო: პირველ სექტემბერს რაღაც არაჩვეულებრივი დილა გათენდა. თვალი რომ გავახილე, მზე უკვე ოთახში იყო შემოსული და ოქროსფრად აჩახჩახებდა იქაურობას. ეზოდან ჩიტუნების ხმატკბილი გალობა ისმოდა. წამოვხტი, შარვალი ჩავიცვი და ეზოში ჩავირბინე.

ხბოს გამწარებული შებღავლება მომესმა. გავიფიქრე, ყელში თოკი არ ჰქონდეს წაჭერილი-მეთქი და საჩეხში გადავიხედე. დედა ძროხას წველიდა, ქლიავზე მიბმული ბოჩოლა კი თოკს ჭიმავდა და მთელი ძალით იქაჩებოდა, მაგრამ ჯიქნამდე დრუნჩი ვერა და ვერ მიჰქონდა.

— ყოჩაღ, გოჩიტა, გაიღვიძე?! — წამომადგა თავზე პაპა, — გულმხურვალე უნდა გაიზარდო, აპა! დიომა რას შვრება?

— სძინავს ისევ.

— გააღვიძე, შვილო, დღეს სკოლაში პირველად მიდიხართ და არ დააგვიანოთ!

მე და დიომა სკოლაში შესასვლელად ჯერ კიდევ ადრე გაგვამზადეს. დედამ ძველმანებისაგან „ახალი“ შარვლები და ხალათები შეგვიკერა, ზურგზე გადასაკიდი ჩანთებიც გამოაგვირისტა, პაპამ კი საიდანღაც ახალთახალი წუღები გამოგვიძვრინა, ხოლო მამიდაშვილმა ძველი სახელმძღვანელოებითა და რვეულებით მოგვამარაგა.

ჩვენი სკოლის დირექტორი ერთხანს კი უარობდა, დიომას წელს ვერ მივიღებ, გაისამდე მოიცადოს, კიდევ შეგვეჩვევა, ქართულშიც გაიწაფება და სწავლა აღარ გაუჭირდებაო, მაგრამ პაპა არ მოეშვა; გოჩიტას ნუ ჩამოვაშორებთ, ბარემ ერთად გაიხედნონო, თუ წიგნი ვერ დაძლიოს, აქა ვარ, მე ვიცოდე და მისმა მომზადებამო. როგორც იქნა დაითანხმა.

სკოლაში წასასვლელად რომ მოვემზადეთ და ზურგზე ჩანთა გადავიკიდეთ, დედა მოვიდა, ხელი მომხვია და კალთაზე მიმიკრა.

— სადა ხარ, სერგო, შენი მუხლუხა ბიჭი უკვე სკოლაში მიდის! — წაიჩურჩულა. წუთით გარინდებული იყო, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, უცებ ხელი მიშვა და დიომას მოეფერა.

— დაიწკაპნენ ბიჭები?! — მოგვიახლოვდა პაპა ღიმილით. ჯერ მე მომკიდა ხელი, კარებთან სამჯერ დამატრიალა: სულ წალმა და კეთილად გატაროს ღმერთმაო, ზღურბლზე მარჯვენა ფეხი გადამაბიჯებინა, მერე დიომაც ასე დალოცა.

სკოლა ახლოს გვქონდა, ზარს ჯანიანად რომ დარეკავდნენ, შინ გვესმოდა. მაინც ადრიანად წავედით. ეზოში უამრავი ბავშვი დაგვხვდა — ჟრიამულობდნენ. ჩვენც შევუერთდით. აჩიკო შორიახლოს დაგვტრიალებდა, ახალბედებს გვეჭირისუფლებოდა. ყველა დიომას უყურებდა და უკირკიტებდა. რუხი ცხვრების ფარაში რომ ერთი ბამბისქულა ბატკანი გაურიო, ისე მოჩანდა დიომა ბავშვებში.

სანამ გაკვეთილი დაიწყებოდა, ყველანი სკოლის წინ შეგვკრიბეს. სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნასთან კოჭლობით მივიდა ხელჯოხზე დაყრდნობილი, სამხედროფორმიანი კაცი. მას სხვა მასწავლებლებიც მიჰყვნენ. ხელჯოხიანი მეზობელი სოფლიდან იყო, ჯარიდან ექვსიოდე თვის წინათ ჩამოვიდა და ჩვენი სკოლის დირექტორად დანიშნეს. მან ახალი სასწავლო წელი მოგვილოცა.

კიდევ ორი მასწავლებელი და ერთი მეათეკლასელი მოგვესალმნენ და შეკრებაც დამთავრდა. აწკრიალდა ზარი. ბავშვები დაიშალნენ, თავთავიანთ კლასებს მიაშურეს ყიჟინით. მე და დიომაც კლასში შევედით. შემოვიდა ახალგაზრდა, სათნოსახიანი ქალი და ღიმილით მოგვესალმა. მერე სიის ამოკითხვას შეუდგა. დიომას მაგივრად დიმიტრი ამოიკითხა, ასეა ლიტერატურულად სწორია. ამის შემდეგ ხან მიტოს ვეძახდით, ხან მიტუშას.

ყველას სათითაოდ რომ გაგვეცნო, მასწავლებელმა ლექსები გვათქმევინა. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. ზედიზედ ბარე სამი ლექსი ჩავარაკრაკე. დიომა ჯერ ყურადღებით გვისმენდა, მერე თვითონაც ლექსის თქმა მოინდომა და ხელი ასწია. მასწავლებელს სახე გაებადრა, მოვიდა, თავზე ხელი გადაუსვა და კლასს მიუბრუნდა: ახლა ჩვენი დიმიტრი იტყვის ლექსსაო. ყველა გაისუსა, მე თავი ჩავღუნე. ვიცოდი, ლექსების რა მარაგიც ჰქონდა... დიომამ დაიწყო: „ლოპე, ლოპე, ლოპეშია...“ სიტყვებს ისე აგრძელებდა, თითქოს სტვირს აკეთებს, ჯოხზე დანის ტარს ურტყამსო. ერთჯერ რომ დაამთავრა, მეორედ დაიწყო, მერე მესამედ... ბავშვებმა კისრები მოიღრიცეს და ჩვენკენ იყურებოდნენ, თანაც ჩუმჩუმად ფხუკუნებდნენ. ყოჩაღ, დიმიტრი! — უთხრა მასწავლებელმა და გაიცინა. ის რომ გაცინებული დაინახეს, მოსწავლეები ახითხითდნენ. მათთან ერთად იცინოდა დიომაც.

●

დიომას პირველ ხანებში სწავლა ძალიან გაუჭირდა. გაკვეთილზე გონება დაფანტული იჯდა. მასწავლებელი მაინც ხელისგულზე ისვამდა... მოფერებამ და ალერსმა თანდათან გაათამამა და კიდეც გააბეჯითა. ჯერ მე მომიჯდებოდა ხოლმე გვერდით და ჩემთან მეცადინეობდა, მერე პაპასთან მიირბენდა, გაუგებარ სიტყვებს ძირისძირობამდე ჩასდევდა. ჰოდა, თანდათან ისე გაიწაფა ქართულში, ერთი წლის შემდეგ უკვე თავისუფლად ლაპარაკობდა, ალბათ, მუნჯსაც არ გაუხარდება ენის ამოდგმა უფრო მეტად, მას რომ ქართულად საუბარი უხაროდა. ენას აღარ ასვენებდა. ჟღურტულებდა.

დიომას წარსული აგონდება

წყნარი, მთვარიანი ღამე იყო, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა კამკამებდა. მთელი ჩვენი ჯალაბობა სახლის წინ ვისხედით და ვსაუბრობდით. ცას უეცრად ჯერ ერთი ვარსკვლავი მოსწყდა, მერე მეორე...

— აფსუს, კიდევ დაეცა ორი ვაჟკაცი! — ჩაილაპარაკა პაპამ და თავი სინანულით გადააქნია.

— სად დაეცნენ? — იკითხა დიომამ.

— ეჰეი! — ამოიოხრა პაპამ, — სხვაგან სად დაეცემოდნენ, ფრონტზე დაეცნენ, შვილო!

— არა! — შესძახა დიომამ. — ორი ვაჟკაცი კი არ დაეცა, რომელიღაც ოფიცერს სამხრეებზე ორი ვარსკვლავი მიემატა. იქნებ მამაჩემს მიემატა...

ცას ერთი ვარსკვლავი კიდევ მოსწყდა...

— ეს კი თქვენი მამის სამხრეებს მიემატა!.. — მოგვიბრუნდა დიომა მე და აჩიკოს.

ზეცას კვლავ ჩაუქროლა ვარსკვლავმა და სადღაც დასალიერში ჩაიკარგა.

— ესეც მამაჩემის სამხრეებს მიემატა! — წამოვიძახე მე, — ორი ვარსკვლავი მამაშენს ექნება, ორიც — მამაჩემს, ხო, დიომა: — ხელი მხარზე დავადე.

— მამას ერთი ვარსკვლავი უკვე ჰქონდა, ახლა სამი ექნება! — შემომღიმა დიომამ და მცირე ჩაფიქრების შემდეგ წამოიწყო: — ერთხელ ჩვენი სახლის აივანზე მამას ვეთამაშებოდი, დავინახე, ზეცას ვარსკვლავი მოსწყდა და პირდაპირ ჩვენკენ გამოქანდა, რომ მეგონა, ზედ თავზე დაგვეცემოდა, უეცრად თვალიდან დამეკარგა. სად წავიდა ვარსკვლავი-მეთქი, ვკითხე მამას. ჩემთან წამოვიდა, ხვალ მოვა და მხარზე დამაჯდებაო. მეორე დღეს. სამსახურიდან რომ დაბრუნდა, სამხრეებზე მართლაც ვარსკვლავი ჰქონდა.

— ვარსკვლავი მხარზე ყველას კი არ აჯდება, მამაშენი ჭკვიანი კაცი ყოფილა, შვილო, — უთხრა პაპამ.

●

ზაფხულის მზიანი დღე იყო. მე და დიომამ ღელეს მივაშურეთ. კარგახანს რომ ვიჭყუმპალეთ, დიომამ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხრა. მოდი, „წერილობია“ ვითამაშოთო. ვითამაშოთ-მეთქი. ვერხვის ჩრდილში დავსხედით, რვეულის ფურცელი მუხლზე დავიდეთ და შევუდექით წერას. ვის სწერო, მკითხა დიომამ. მამას-მეთქი. მეც მამას ვსწერო. რამდენიმე წუთში ბარათები მზად იყო. სამკუთხედად დავკეცეთ, ლობიოს ბარდით თხმელის ფოთოლს დავაკარით და ღელეს გავატანეთ. დიომამ ტაში შემოჰკრა:

— ეს ღელე მდინარეს შეუერთდება, მდინარე — ზღვას, ზღვა — ოკეანეს. ოკეანეში გემის კაპიტანი ჩვენს ბარათებს დაინახავს და მყვინთავებს უბრძანებს: ჩადით, მომიტანეთო. ამოიტანენ და ჩვენს მამებს გადასცემენ. ხო, გოჩიტა?

— მამაშენმა ქართული რომ არ იცის, როგორ წაიკითხავს?

— ეგ კი აღარ გამახსენდა... — ისე ნაღვლიანად თქვა დიომამ, თითქოს სჯეროდა, ღელეს გატანებული ბარათი უეჭველად ადრესატს ჩაბარდებაო.

კარზე მოგდგარი გაზაფხული

იმ დღეს სკოლიდან დაბრუნებულებს სახლის კარი გადარაზული დაგვხვდა. სასადილო მაგიდაზე დედის ბარათი იყო: მამიდათქვენთან მივდივარ, შეიძლება საღამომდე ვერ დავბრუნდე და ჭკვიანად იყავითო. ვისადილეთ თუ არა, ეზოში გავინავარდეთ და კუკუმალულობანა გავაჩაღეთ. აჩიკო დაიხუჭა, მე და დიომამ კი სამალავებს მივაშურეთ. ჯერ საბძლისკენ გავიქეცი, მერე იქ დამალვა გადავიფიქრე და მარნისკენ გავქანდი.

ჩვენი მარანი ეზოს განაპირა კუთხეში იდგა. სამი კედელი ქვიტკირისა ჰქონდა, წინა მხარე კი მაღალი ფიცრული ღობით იყო შემოკავებული. მარნის უკანა კედელთან მივირბინე, ჩავცუცქდი და აჩიკოს მოლოდინში გავინაბე. უცებ მარნიდან ლაპარაკი შემომესმა. ვინ შეიპარნენ ასე შეუმჩნევლად-მეთქი,— გავიფიქრე. მივცოცდი ღობესთან, ფიცრებს შუა ცხვირი გავყავი და შევიჭყიტე. შევიჭყიტე და პაპა არ შემრჩა ხელში! მაგიდასთან იჯდა, ხელში სავსე ჭიქა ეჭირა და კედლისკენ ისე იცქირებოდა, თითქოს ვიღაცას შეჰყურებსო.

— ამ ხნის კაცი ცრუ და მატყუარა გავხდი, შვილო! ენას კბილს ვაჭერ. ჩემს გულში ვიწვები და ვიდაგები. ჭირთა თქმა ლხინიაო, კი ვიცი, მაგრამ ვის ვუთხრა, ვის შევჩივლო ჩემი უბედურება? ი ქალს რომ გავუმხილო, ვაითუ სულ დამესახას ცეცხლზე წყალი!.. იმედდაკარგული ქალი და მინდორში ქარი ერთი და იგივეა... ბიჭებია და, ჯერ პატარები არიან, რა ველაპარაკო? არადა, როგორ ვზიდო ამხელა ნაღველი მარტოდმარტომ. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?!

პაპამ თავზე შემოირტყა ხელი და ერთხანს გაყუჩდა, მერე ჭიქას ნელ-ნელა თავი წაუქცია და უხმოდ დაცალა. შემდეგ დოქი აიღო და ჭიქა ისევ შეავსო. ღვინოს რომ ასხამდა, მამაჩემის სურათს მოვკარი თვალი — კედელზე იყო მიყუდებული. სურათთან სავსე ჭიქა იდგა.

გული ამიდუღდა.

პაპამ ჭიქა ასწია, და სურათთან რომ იდგა, იმ ჭიქას მიუჭახუნა.

— ვაჰ! — დამყვირა ამ დროს აჩიკომ და ხარხარით ბერასაკენ გაიქცა, ეგონა გავეკიდებოდი.

ისე ვიყავი ფიქრში გადავარდნილი, კუკუმალულობანაც დავიწყებული მქონდა და აჩიკოც. ამიტომ შევკრთი, ჩავიკეცე და, მეტიც აღარ მინდოდა, მოვრთე ღრიალი.

— აჩიკო! — შესძახა პაპამ, — არ გესმის, ბიჭო შენ?!

აჩიკო ჩემმა ტირილმა გააოცა, გამოიქცა და თავზე დამადგა.

— რავა დააღე პირი, თამაში არ იცი?

— აჩიკო! — ხმას აუწია პაპამ.

— უი, პაპა მარანში ყოფილა! — შესძახა აჩიკომ და გაეპასუხა.

— მოდით აქ, შვილებო, მოდით, რა გაქვთ სატირელი?!

აჩიკო მარნის კარს მიაწყდა.

— შიგნიდან დაგიკეტია და როგორ შემოვიდეთ?!

— ჯოხი შემოყავი და ურდული ასწიე.

აჩიკომ კარი გააღო და შეევარდა.

— მარტო ქეიფობ, პაპა?!.

— ჰო, ვქეიფობ. — უპასუხა პაპამ. — ძმები რა უყავი?

აჩიკომ გამოირბინა და თავზე დამადგა:

— კარგი, გეყოფა. რა დაგიშავე, რომ ტირი? პაპას ეწყინება... გაჩუმდი, თუ ჩემი ძმა ხარ!

მერე სადღაც მიმალულ დიომას შეეხმიანა:

— მიტუშა, პაპა გეძახის!

ცრემლი მოვიწმინდე და აჩიკოს მივყევი. დიომა სამზადიდან გამოძვრა და წამოგვეწია.

— მოხვედით, შვილებო?! — გაგვიღიმა პაპამ და წარბებქვეშ მიმალული თვალები გამოაჩინა, — გიკვირთ, მარტო რომ ვქეიფობ? ნუ გიკვირთ!

პაპამ თავი კედლისაკენ მიაბრუნა და უცებ ხმას აუწია:

— ვინ თქვა, ხარება მარტო ქეიფობსო? ჩემს ბიჭთან ვქეიფობ. წუხელ მესიზმრა, ღვინოს რატომ არ მასმევო, მისაყვედურა. ჰოდა, ავდექი დღეს და ზედაშე მოვუხადე ჩემს ბიჭს!

პაპა ერთხანს დუმდა, მერე დამაცქერდა:

— რატომ ტიროდი, გოჩიტა? აჩიკომ გცემა?

— მე არ მიცემია, მალულობანას ვთამაშობდით და...

— მალულობანას თამაშობდით? — არ დაამთავრებინა პაპამ, — რაღა დროს შენი მალულობანას თამაშია, ბიჭი ზვინივით დგეხარ! თუმცა მალულობიას ზოგჯერ დიდებიც თამაშობენ...

თითქოს რაღაცას იხსენებს და ვერ მოუგონებიაო, პაპა წუთით ისევ გაყუჩდა, შემდეგ ორივე ხელი გაშალა:

— მოიწით ჩემკენ.

პაპამ ჯერ ერთმანეთს მიგვახუტა, მერე სამივე მკერდზე მიგვიკრა.

— თქვენი ჩხუბი როგორ შეიძლება! ერთ ფესვზე ამოზრდილი სამი ნერგივით, უნდა იყოთ მუდამ ერთად.

ცივმა ქარმა დაუბერა და უცებ შემაჟრჟოლა.

— გცივა, გოჩიტა? — მკერდზე მაგრად მიმიკრა პაპამ. — ნუ გეშინია, გაზაფხული კარზეა მომდგარი!

— დირექტორმა გაგვაფრთხილა: შეშა გამოვიზოგოთ, ერთი პატარა ზამთარი კიდევ გაივლისო. — ვთქვი მე.

— დიდი ზამთარი გავაბოხრიკეთ და პატარას ვეღარ გავუძლებთ? — გაიცინა პაპამ. — ხო, დიომა?

— მე დიომა არა ვარ!

— აპა ვინ ხარ, შე კუდიანო?!

— მიტუშა! .

— ჰო, მიტუშა! — გაუხარდა პაპას, — ხო გავუძლებთ, მიტუშა, ამ პატარა ზამთარს?

— გავუძვრებით!.. — გაიკრიჭა დიომა.

— გავუძვრებით... ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიქირქილა პაპამ და დიომას თავზე ხელი გადაუსვა, ქოჩორს დააცქერდა და აღტაცებით შესძახა:

— ბიჭოს, თმა გიშავდება!

პაპას „აღმოჩენამ“ მე და აჩიკოც გაგვახარა, დიომასკენ წავიწიეთ, ცხვირები კინაღამ ქოჩორზე დავაბჯინეთ. რის გაშავება, რა გაშავება: კუკუმალულობისას ბუხარში შემძვრალიყო და თმა შემურვოდა.

აჩიკომ მუჯლუგუნი წამკრა, „ბუხარი“ არ წამოგცდესო და თქვა:

— მართლა უშავდება, ჩვენსავით შავქოჩორა იქნება!..

პაპამ სასმისი აიღო და, ის იყო სადღეგრძელოს თქმას აპირებდა, რომ სახურავის რიკლედან მზის შუქი ჩამოძვრა, პირდაპირ ჭიქას დაეცა და ღვინო სანთელივით. ააკამკამა. პაპა სხივებს დააცქერდა, უყურა, უყურა და მერე ჩვენ გადმოგვხედა ღიმილით:

— თქვენს სადღეგრძელოს ვაპირებდი, შვილებო, მაგრამ ჯერ მზე უნდა ვადღეგრძელო. ამ ღრუბლიანობამ და ავდრიანობამ მზის შუქი მოგვანატრა. როგორც იქნა გვეშველა და გამოჩნდა, დაილოცოს ამის ბუდე-სადგომი. ხედავთ, როგორ თამაშობს? უხარია, ღრუბლებს რომ დაუძვრა და სუფრა გაგვინათა. გაუმარჯოს მზეს!

თითქოს მზის შექება ეწყინაო. ქარმა ისევ სუსხიანად დაჰქროლა და ვაშლის ნერგებს საკვირტედ შემზადებული ტოტები მარნის კედელზე მიახლეკინა.

თებერვალი მთელი ძალით ბერავდა, კარზე მომდგარი მარტი კი კაბის შეკერვას აპირებდა. გაზაფხული გვიახლოვდებოდა, ცხრაას ორმოცდახუთი წლის დაუვიწყარი გაზაფხული.

ეროვნული

ოთარ შალამბერიძე

ვადიდოთ ცეცხლი! —
ოდითგან
ოჯახის შნო და ლაზათი,
მამაპაპეულ ბუხარში
ღიმილად ამონაზარდი.
ვადიდოთ ცეცხლი,
მამულის
დიდი ძალა და ნუგეში,
ცეცხლი,
რომელიც ხმამაღლა
მღერის მარტენის ღუმელში!..
ვადიდოთ ცეცხლი,
რომელიც
ძრავს უზარმაზარ ხომალდებს;
ცეცხლი,
რომელიც,
ჯობია —
სულ სამშვიდობოდ ბოლავდეს.
ვადიდოთ ცეცხლი,
რომელიც
მეცხვარის ქოხში ბრიალებს
და ჩუმად ათბობს
სუსხისგან
გათოშილ ადამიანებს.
ვადიდოთ ცეცხლი — მარადი,
წმინდა ხსოვნისაც მშვენება, —
შინმოუსვლელთა საფლავებს
მუდამ რომ თავზე ეკლება!..
ვადიდოთ ცეცხლი!..
მაგრამ ცეცხლს,
იცოცხლე,
მოაქვს ზიანიც,
თუ არ მოიქცა გულფრთხილად
ყოველი ადამიანი.
იქ, სადაც ცეცხლი ანთია,
ფხიზელი თვალი მადლია!

ტყე შრიალებს, დალოცვილი,
სიმღერას ჰგავს ტყის შრიალი.
აქ ყველა ხე ატყორცნილი
გამძლეა და ჯიშიანი.
ტყე შრიალებს...
ფრინველთ სტვენაც
ექსოვება ხეთა შრიალს;
ამ სიმღერის საიდუმლო
გაზაფხულის ფეთქვაშია.
ბზინავს ქერქის მუზარადი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირტში თითქოს მზის წვეთია;
რომ იტყვიან,
ძმა ძმისთვისო, —
აქ ყველა ხე ისეთია.
გაუშლიათ მხარ-მკლავები
მუხებს,
ცაცხვებს,
ფიჭვებს,
თელებს;
ტყეო, ჩვენო მეგობარო,
იხარე და იდღეგრძელე!..
ხარ საუნჯე ბუნებისა,
მწვანე ჩრდილით მოქობილი,
შენს სიკეთეს ვერ ჩამოთვლის
ბარე შვიდი ოქროპირი.
მიტომ ხიბლავ კაცს ადვილად,
რომ ხარ სწორედ ცათასწორი;
შენს წიაღში რაც მადლია,
უკვდავებას გადასწონის.
მაგრამ, ზოგჯერ, დიდ სიხარულს
დიდი ჩრდილიც უკან მოსთრევს;
რას დაგვაკლებს ჩრდილი,
ოღონდ
გაფრთხილება უნდა დროზე!

•

დალამებისას
მიჩუმდა
ტყის პირას ტაშის გრიალი.
ჩამკრალ კოცონზე ნაღვერდალს
ალვივებს მთების ნიავი.
ავბედად მიიკლაკნება
ზეცისკენ კვამლის ზონარი.
კოცონად ქცევას ხელახლა
აპირებს ნაკოცონარი.
მოლაშქრე პიონერები
ტყეს გასცდნენ კარგა ხანია;
ბანაკებისკენ ჯგუფ-ჯგუფად
მიდიან,
მიუხარიათ.
მიდიან კმაყოფილები
ტყის პირას ნაგრძნობ-ნახულით;
უხილავ ნაკადულივით
თან მისდევთ ღამე ზაფხულის.
ფიქრად არავის მოსვლია,
რომ უკან, მინდვრის იქითა,
მათ მიერ ჩამკრალ კოცონში
ეშმაკმა ჩაიხითხითა!..

•

მისძახიან მოლაშქრეებს
ცაცხვები და ალვისხენი:
„ცეცხლი დაგრჩათ ჩაუმკრალი,
ჩააქრეთ და დაგვიხსენით!“
შიშისაგან ფოთლებივით
აცახცახდნენ ჩიტუნები;
ჩიტუნებო,
თავს უშველეთ,
ხეზე ნუღა იტრუნებით.
მდელო ჩუმად იცრემლება, —
დაბრუნდითო, გთხოვთ ძალიან;
ვინ გაიგებს ტყის ვედრებას, —
მოლაშქრენი შორს არიან,
დაეკარგათ მოსვენება
ფრთაციმციმა ციცინათლებს;
ცას შესთხოვენ:
„გული გვიწუხს,
ცოტა ცვარი გვიწილადე!..“

•

ნაბიჯ-ნაბიჯ,
ბალახ-ბალახ,
ფაციფუცით,
ჩქარა-ჩქარა,
ცეცხლისთვალა ნადირივით
ტყეს ხანძარი მიეპარა.
ტყე გაჩუმდა,
გაინაბა,
რა იღონოს,
რა ქნას ამ დროს?
მერე მის წინ ბებერ მუხას
მიაჩერდა,
როგორც პატრონს.
რას ფიქრობდა, ნეტავ, მუხა,
მედიდურად ტყის პირს მდგარი?
მუხა —
ბარე ასი წლისა,
ბარე
სამჯერ ნამეხარი?!
იგი დაბლა ხრიდა ტოტებს,
რომ უეცრად,



ყრმა ბავშვივით
აეტაცნა ცეცხლის კონა,
ყაყაჩოსფრად გადაშლილი.
აეტაცნა ისე მაღლა,
რომ მხსნელს ვისმე დაენახა.
მიიკრიბა მუხამ ცეცხლი,
მიიზიდა ნება-ნება;
მუხას ცეცხლის
სუნთქვაც ესმის,
მუხა ნორჩ ტყეს ეფარება...
გამოეყო ცეცხლსაც უცებ
უთვალავი გრძელი ენა,
აულოკა მუხას ქერქი,
პირი ჩაიგემრიელა.
მერე მისწვდა ბებერ ტოტებს,
შეუტრუსა ქეჩა ხავსის;
ხარობს მუხა, —
ჩემს ცხოვრებას
ჰქონიათ კიდევ აზრი.
„ცეცხლო, ჩემკენ!
ცეცხლო, ჩემკენ!
ჩემს მკლავებში გაბადრულხარ!..“
ბოლოს,
ხანძრის გრძელმა შარფმა
ერთიანად შთანთქა მუხა.
„ცეცხლო, ოღონდ არ აჩქარდე.

ცეცხლო, ოღონდ ნელა დამწვი,
და სანამდის მთლად დამწვავდე.
გამოჩნდება, მჯერა, რაზმიც.
ჩემს უკან ხომ ნორჩი ტყეა,
ჯერ მე დამწვავ,
ეს იცოდე!
თუ შეგიშვი იმ ნორჩ ტყეში,
რა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლეს?!"
უცაბედად სირენებმა
ელვასავით
ცა გაბზარეს.
„ცეცხლო!
ახლა გაზღვევინებთ,
რაც აქამდე გაგვამწარე!.." —
გაიფიქრა
მუხამ იმ წამს
და გახედა
უკან, დიდ გზას.
ხედავს:
რაზმი მეხანძრეთა
მოგრიალებს ფართო გზაზე.
„ახლა მჯერა,
ტყის სიცოცხლე
სიკვდილს უკვე გამოვტაცე!.."
შემოერტყნენ ტყისპირს მყისვე
და შლანგები მიუმიზნეს.



წყლის ნაკადი დამწვარ მუხას
დაეხეხურა მალამოსებრ;
ჰოი, ხეო,
საქმე შენი,
ქვეყნად ვის არ გააოცებს?!
შეკრთა ცეცხლი
რეტდასხმული,
აქეთ ეცა,
იქით ეცა,
მაგრამ
მეხანძრეთა რისხვას
ვერ დაუსხლტა,
ვერ გაექცა,
ერთხანს კიდევ იტრიალა,
მერე ღვარქვეშ ჩაიკეცა!..

•

ჩონჩხივით დგას ბერი მუხა,
ცეცხლთან ბრძოლით გადაღლილი;
მის მწარე ბედს ძმები სწუხან,
უკვე ხიფათგადაყრილნი.
შესცქერიან მეხანძრენიც
ტიტანს, მათ წინ შავად მზირალს;
ყველას უკვირს ხეთა მეფის
ამნაირი თავგანწირვა.
შენ დაეცი,
მუხავ,
თუმცა,
ჯიში შენი მარადისობს!
ვილაცამ თქვა:
მოვჭრათ, ბარემ,
აუშნოებს ამ ადგილსო!
მაგრამ მუხას,
თავბედ დამწვარს,
არ დასჭირდა ხელცულები;
უმალ მიწას დაენარცხა
წამიერი შეცბუნებით...
ხოლო, იქვე,
მუხის ძირში
ამოეყო ჩითილს თავი
და დამსხვრეულ ტოტებს შორის
ცახცახებდა შიშნაკრავი.

•

ვადიდოთ ცეცხლი! —
ოდითგან
ოჯახის შნო და ლაზათი,
მამაპაპეულ ბუხარში
ღიმილად ამონაზარდი.
ვადიდოთ ცეცხლი!..
მაგრამ ცეცხლს,
იცოცხლე,
მოაქვს ზიანიც,
თუ არ მოიქცა გულფრთხილად
ყოველი ადამიანი,

იქ, სადაც ცეცხლი ანთია,
ფხიზელი თვალი მადლია!

მხატვარი
ოთარ ჩხარტიშვილი.

ნ ა ზ ი კ ი ლ ა ს ო ნ ი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმღერა მარტის

ჰეი, ისმინეთ! — ქარი გუგუნებს.
ეს ჩემი ხმალი უტევს უკუნეთს.

გადმოირბინეთ სველი ხნულები
ეს მე დავტოვე ნაფეხურები.

მე ვტირი ცრემლით სიხარულისა,
ბიბინებს ველი, თქვენი გულისა.

მწვანე ბურუსი მმოსავს შილიფად,
ჰყვავის ჭალაკი თეთრად, ღვინისფრად.

აფეთქებული მომაქვს ტოტები
მეცა მყავს დედა, მას ვერ ვშორდები.

მზე მშვენიერი, ჩემი მშობელი —
მან მომცა სხივი ჩაუქრობელი.

სალამი, დედავ! ნუ გამიმეტებ,
ჩამიდგი ძარღვში შენი სიკეთე.

მოხედე მიწას — დედა ბევრია,
აქ ყველა დედას შენი ფერი აქვს.

დედებს უპყრიათ ხელში ჩვილები,
რა მზისფერია მათი შვილებიც!

გილოცავ, მზეო! — დედავ პირველო,
შენ, ოქროსფერო, დიდო ფრინველო,
ვინც სხივით ავლებ რილო-ჭრილოსა,
მზეს და გაზაფხულს შენვე გილოცავთ.

...ასე მღერიან მარტში ქარები,
ასე იხსნება ოქროს კარები,

და ხარობს მიწა — დედა ბევრია...
და ყველა დედა ხომ მზისფერია!

მირონ ხერგიანი

გეგი და ვაკვე

მხატვარი
თამაზ ხუციშვილი

მოთხრობა

დღეს პირველად აეღარუნდებოდა სკოლის ზარი.

კვლავ შეიყრებოდნენ ამხანაგები და ათას რამეს მოუყვებოდნენ ერთმანეთს.

ზოგი ტყუილი იქნებოდა, ზოგი — მართალი.

გეგისაც ჰქონდა ცოტა რამ საამბობი. აი, ნახირს გადევნებულს ქარაფებში რომ შემოაღამდა, და უკან ვეღარ გამოაღწია. ის ღამე უფსკრულისთავზე მიკუნტულმა გაათენა. ეგეც არაფერი, იმ სიცივესა და მიუსაფრობას კიდევ აიტანდა როგორმე კაცი, მაგრამ დათვმა რომ დაჰკვლია მის ნაკვალევს და მთელი ღამე არ მოასვენა? იმ ოხერტიალმა კლდეში გამომწყვდეული თხები რომ დაიგულა, სულ გაგიჟდა, ერთი ბრდღვინვა ასტეხა. უფრო იმაზე ბრაზობდა ალბათ, ციცაბოებს რომ ახლოს ვეღარ გაეკარა — არ დავცურდე და ძირს არ მოვადინო ბრაგვანიო. ან იქნებ გეგისი შეეშინდა? მთელი ღამე კი ბრდღვინავდა და გარს უვლიდა ქარაფიან ბექს, თან გულის მოსაფხანად უშველებელ ლოდებს ისროდა...

კიდევ კარგი, უკუნი სიბნელე იდგა და გეგი თხების შიშისაგან არიალებული თვალების ანაბზინის გარდა ვეღარაფერს ხედავდა, თორემ იმ უფსკრულის დანახვაზე მეორე დილით რომ დაუღო ხახა, ალბათ ათასი მოჩვენება მოელანდებოდა და სხვა თუ არა, ის ტყიური ეშმაკ-შაშიები გადაუძახებდნენ მოუსავლეთში.

გამთენიისას კი ისე თახდათან გამოიკვეთა ქარაფები, ისე თანდათან დააღეს პირი თვალშეუვლებმა ნაპრალებმა, რომ თავბრუ დაეხვა და ღამის გული შეუღონდა. გეგი თვალებს აღარ უჯერებდა — ნუთუ მართლა ამ საეშმაკოში შემომიტყუეს რქაბრტყელებმაო. თანაც ეს, დათვის ბურდღუნი უწყალებდა გულს. ან როგორ არ დაიღალა მთელი ღამე ღრიალით? — უკვირდა გეგის.

აქ დარჩენა საშიში იყო. სამშვიდობოზე გასვლა და საქონლის გალალვაც შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. ის გავეშებული ნადირი ხომ ისე არ გაჩერდებოდა! ორ წყალს შუა ჩავარდნილიყო გეგი. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და, სწორედ ამ დროს...

— ბახ... ბახ... ბაააბ!..: — გაისმა ხეობაში თოფის ბათქანი.

მიხვდა გეგი, ეს მისი ამხანაგები იყვნენ ლელღამის ზექრიდან. ისინი თავიანთ ხმას აწვდენდნენ დაკარგულ მენახირეს. აიმედებდნენ — ნუ გეშინია, აქა ვართო.

თოფის ხმაზე დათვმა იკადრა და პირში ჩალაგამოვლებული სადღაც წაძუნძულდა.

გეგიმ თავისუფლად ამოისუნთქა და კლდეებიდან გამოსვლა დაიწყო. თხები უკან მოჰყვებოდნენ. ისინი მთელი ღამე შიშისაგან ცახცახებდნენ და თავიანთ პატრონს ეკვროდნენ, შუბლსა და ღაწვებს ულოკავდნენ — თითქოს ბოდიშს იხდიდნენ მის წინაშე — გვაპატიე, ყველაფერი ჩვენი ბრალიაო, ახლაც ერთი ნაბიჯით არ შორდებოდნენ, სკუპსკუპით მიჰყვებოდნენ წავარნებზე.

— ჰე... ჰე... ჰეეეი! — გასძახა სამშვიდობოზე გასულმა გეგიმ, ჭიუხებსა და წარაფებს, დაბლა მომლოდინე ამხანაგებს, მთელს ქვეყნიერებას და... ბაბეს.

იმისი ხმა მთებმა დააბურთავეს, სადღაც შორს წარიტაცეს და გადაკარგეს.

მაგრამ აბა, ბაბე საიდან გაიგებდა მის ძახილს? ჰო და, დღეს ხომ თვითონ შეუძლია მოუყვეს, თავიდან ბოლომდე იმღამინდელი ამბავი?

გეგი ჩანთის ქნევით გამოვიდა გზაზე და თვალაციმციმებული დაუყვა სეტისაკენ. გზად გამვლელ-გამომვლელები, სოფლის უფროს უმცროსობა ყველა გულიანად ესალმებოდა — გეგის გაუმარჯოს, როგორა ხარ, ტყიდან რა ისმის, იმ შენი დათვებისაგანო.

გეგი თრიხინ-თრიხინით მიუყვებოდა ქუჩას.

კოშკები ცაში აჭრილიყვნენ, ორსართულიანი, სამზეოზე ჩამომსხდარი მაჩუბები ნაბდისქუდიანი და შუბლდაღარული მოხუცებივით მდუმარებდნენ. გეგი ამ კოშკებსა და მაჩუბებს შორის მიაბიჯებდა სიამაყით და სიხარულით აღსავსე.

წყაროსთან ქალები შეკრებილიყვნენ, ლეჩაქწაკრულები რაღაცაზე თავგამოდებულნი საუბრობდნენ, თან სპილენძის თუნგულებსა და ხისაგან გამოჩორკნილ ვოხარებს დასცქეროდნენ — ხომ არ გაივსოო.

გეგის დანახვაზე საუბარი შეწყვიტეს და დიდი ხნის უნახავივით მიაჩერდნენ.

— ჰა, გეგილო, „ტყის ძმები“ მიატოვე? — მიაძახეს მას ქალებმა.

„ტყის ძმებში“ ისინი მხეც-ნადირს გულისხმობდნენ, გეგის თავგადასავალი, ეტყობა, მთელმა სოფელმა იცოდა.

— ჰო, რა... ასე მოხდა... — მოკლედ გაეპასუხა მათ გეგი.

— მთა მოხდენია, გაზრდილა... — თქვეს ქალებმა, გეგიმ რომ ჩაიარა.

გეგი კი ფიქრობდა: „ნეტავ ბაბემაც თუ გაიგო ჩემი ამბავი?“ — ბიჭმა მალულად ბაბეანთ სახლისაკენ გააპარა მზერა. იქნება გოგოსათვის მოეკრა თვალი. ნეტავი ისევ ისეთია თუ შეიცვალა...

უცბად ჯიბილა დაინახა. იმათ ჭიშკართან ატუზულიყო, ვიღაცას ელოდებოდა.

— „ჰეჰეეი, ჯიბილ, გამარჯობა შენი...“ — შორიდან უნდა მისალმებოდა ამხანაგს, რომ სწორედ ამ დროს ეზოდან კისკისით გამოვარდა თეთრბაბთიანი ბაბე. იგი ჯიბილას მიესალმა. მერე ორთავენი კუსკუსით დაუყვნენ შუკას.

გეგი ვერც კი შენიშნეს, იმათგან სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯზე იდგა და, ვერ კი შენიშნეს, ბიჭს გული დასწყდა. ბაბეც უფრო შორეული ეჩვენა, შეცვლილი...

„ნუთუ ვერ შემამჩნიეს? ან იქნებ განგებ არ გამიჩერდნენ“.

ბიჭი უკვე აღარ მიაქანავებდა ჩანთას, არც ხტუნვა-ხტუნვით გაუგრძელებია გზა. რაღაც უსიამო გრძნობა დაეუფლა. უგულოდ მიიზლაზნებოდა და შარშანდელ ამბავს იხსენებდა, იქნებ იმაზე ემდუროდა გოგო?

ბოლო გამოცდას რომ აბარებდნენ, ბიჭმა ერთი ცალი ნიორყვავილა მიუტანა. სხვა დროსაც ბევრჯერ მიურთმევია ბაბესათვის თაიგული, მაგრამ ეს სულ სხვა იყო — ახლა ყვავილს ფოთლებზე მელნით ბ ა ბ ე — დააწერა.

— დიდებული ყვავილია... — გამოართვა ბაბემ საჩუქარი და ის იყო, უნდა დაეყნოსა, რომ ფოთლებზე მელნით გამოყვანილ ასოებს მოჰკრა თვალი.

— ჩვენი ბაღისაა. — თავი მოიწონა ბიჭმა.

ბაბემ თავისი სახელი ამოიკითხა და წამოწითლდა. მას მერე შეიცვალა, იქნებ გეგის ეჩვენებოდა? თითქოს გოგომ უფრო დაიმორცხვა, მოკრძალებული გახდა.

მალე არდადეგებიც დადგა. ბაბე მშობლებმა ზღვისპირეთში წაიყვანეს დასასვენებლად, გეგი კი მთაში გაეშურა სამწყემსაოდ. „როგორ შეხვდებოდნენ ისინი დღეს ერთმანეთს, შეურიგდებოდა ბაბე თუ არა? — ფიქრობდა გეგი, — თუმცა კაცმა რომ თქვას, რა ჰქონდათ მასა და ბაბეს გასაყოფი და საჩხუბარი?“

გეგი კლასში შევიდა და კვლავ წაუხდა გუნება — წინა მერხზე, მოსწავლეები ხუმრობით „ფრიადოსანთა ტახტრევანს“ რომ ეძახდნენ, ბაბესთან ჯიბილა წამოჭიმულიყო. ბიჭს ხელში მრავალყურა ეჭირა და გოგოს სათითაოდ აწყვეტინებდა იმის ფოთოლს, ეტყობა, რაღაც ჩათქმული ჰქონდა.

მთელი შვიდი წელი ერთად ისხდნენ გეგი და ბაბე. დღეს კი მის გვერდით ჯიბილა წამოჭიმულიყო.

გეგიმ საერთო სალამი მისცა ყველას და სულ უკანა მერხზე ჩამოჯდა. მოსწავლეები იცინოდნენ და მხიარულობდნენ, გარდახდენილსა და ნანახს ჰყვებოდნენ. იდგა ერთი ქალი, სიცილ-ხორხოცი.

გეგიმ მოიწყინა. გულმა გარეთ გაუწია რატომღაც. ჩანთა მერხში დატოვა და ჩუმად გაიპარა.

მალე მასწავლებელიც შემოვიდა. ბავშვები წამოიშალნენ.

იგი ალერსით მიესალმა მოსწავლეებს — როგორა ხართ, ჩემო ყურჩატებოო. სათითაოდ შეავლო თვალი, ახედ-დახედა, უხაროდა ტანაყრილი და მზით გარუჯული ბავშვების ნახვა. მერე ღიმილით გადაშალა ჟურნალი, და ვიდრე სიას ამოიკითხავდა, კლასს მიმართა:

— გეგი? გეგი სადღა ბრძანდება?

ბავშვებმა მიიხედ-მოიხედეს, საგულდაგულოდ მოათვალიერეს ოთახი და რატომღაც ბაბეს მიაჩერდნენ.

მასწავლებელიც ბაბეს შესცქეროდა, ეტყობა იმისაგან მოელოდა პასუხს.

— ბაბე, სად არის, შენი მეზობელი? — თბილად მიმართა მან გოგოს.

— დილას ვნახე, სკოლაში მოდიოდა. წელან კლასშიც მოვკარი თვალი... — ფეხზე წამოდგა გოგო.

— აი, ჩანთა აქ არის, — ვიღაცამ მერხიდან გამოაძვრინა გეგის ჩანთა.

— ზარის ხმა თუ [illegible] თქვა მასწავლებელმა და ჟურნალს მიუბრუნდა.

•

გეგი მდინარისაკენ დაუყვა ბილიკს. ერთხანს ნაპირ-ნაპირ მიუყვებოდა ენგურს, მერე მოსწყინდა სიარული და მუშტა ქვაზე ჩამოჯდა.

პაწაწკინტელა კენჭებს იღებდა და წყალში ისროდა. მერე ნაფოტით ქვიშაზე სურათების ხატვას შეუდგა. ესეც მოსწყინდა და ახლა სოფლისაკენ გაუტია.

ორღობეში ვიღაც უცხო კაცს წააწყდა. იგი გასაშლელ სკამზე წამომჯდარიყო, წინ მოლბერტი დაედგა და მურყვამს* ხატავდა.

პირველად ხედავდა მხატვარს გეგი თავიანთ სოფელში.

გაუბედავად, ნელ-ნელა მიეახლა და ცნობისმოყვარეობით დააცქერდა ტილოს.

მხატვარი გეგიანთ საგვარეულო კოშკს ხატავდა. კოშკზე მიდგმული მაჩუბი დაესრულებინა უკვე, ახლა მაჩუბს დატანებული სამარხილო გვირაბი გამოჰყავდა. გზაზე ხიშვა ქვები ეყარა ნიაღვრის ჩამოტანილი,

* სვ. კოშკი.

ისინიც უნდოდა აესახა და იმ ადგილებში უფრო მუქ საღებავს ადებდა.

„ამას რომ მორჩება, კოშკს მიუბრუნდება...“ — გაიფიქრა გეგიმ.

— გამარჯობა შენი... — მოუტრიალდა უცბად მხატვარი გეგის.

ბიჭს კი ისე ეგონა, ვერ შემნიშნაო. დაიბნა, შერცხვა კიდეც — თითქოს ქურდობაზე წაასწრესო.

— გაგიმარჯოთ...

— რა, სალამი დაგავიწყდა? — უსაყვედურა იმ კაცმა.

— სალამი?

— ყველა ქუდის მოხდით მესალმება და შენ რა ვითომ...

მხატვარს სქელი, შავი ულვაშები დაეყენებინა, წაგრძელებული ცხვირნიკაპი ჰქონდა. ლაპარაკისას ულვაშები წვეტიან ცხვირთან ისე აუდ-ჩაუდიოდა თითქოს ფრინველის ფრთები იქნევაო.

— მე... მე მომერიდა.

— მოგერიდა?

— ჰო, რა...

— რა მოსარიდებელი ეგ არი. პირველად მესმის...

მხატვარმა ჭილობის ქუდი შეისწორა თავზე და ახლა მურყვამს გადახედა, თვალები მონადირესავით მოჭუტა, თითქოს თოფს უმიზნებსო.

გეგი გაოცებული მისჩერებოდა ამ უცნაურ კაცს.

— ხედავ? — შეეკითხა მერე იგი გეგის.

— მურყვამზე მეუბნებით?

— ჰო, იმის კედლებზე გეუბნები, ისეთი სწორია, სახაზავად გამოდგება.

გეგის ესიამოვნა უცხო კაცის ნათქვამი.

— ჩვენია ეგა.

— მართლა?

— მართლა! შიგ ქვევრები გვიდგას, ერთი სასმელი წყლისათვის, ერთიც წინწანაქრისთვის. ჭერზე ხორცისთვის კაჩალოებია დაკიდული. ომიანობისას მთელი ჯალაბი იქ აფარებდა თავს, ჭამა-სმა ხომ უნდოდა. ზედა სართული ნანადირევის ძვლებითა და თავისქალებითაა გამოტენილი.

— ახლაც გიდგათ წყალი და არაყი? შაშხებიც ჰკიდია ძველებურადა? — დაინტერესდა მხატვარი.

— აარა, — თითქოს დაირცხვინაო გეგიმ, — ახლა არავის უსხია და უკიდია, არავინ არვის ეომება და რათ უნდათ...

მხატვარმა ისევ გახედა მურყვამს და რაღაცაზე ჩაფიქრდა. ამჯერად თვალი არ მოუჭუტავს.

— ამ სათოფურებზე რაღას მეტყვი? — შეეკითხა გეგის.

— სათოფურებზე? შიგნით ისინი განივრდებიან, სამი კაცი რომ თავისუფლად წამოუწვება თავის თოფიარაღს, იმხელაზე განივრდებიან, ამბრაზურებს ირგვლივ რომ ნაყვავილარივით წერტილები ამჩხვევია, ეს ნატყვიარებია, ძველთაძველი ჭრილობები...

— ჰო?

— აცდენილი ტყვიებია. ზოგი ახლა ცვივა, ზოგიც მკვიდრად ჩაჭედილა პორებში.

მხატვარმა თეთრ ტილოზე ოთხი სწორი ხაზი ჩამოუსვა. ხაზების ირგვლივ სივრცე შავად მოკენჭა-მოალაქავა.

„რა მარჯვედ გამოიყვანა სათოფურები“ —უკვირდა გეგის.

— სკოლაში არ წახვედი დღეს? — უცბად მოუბრუნდა გეგის მხატვარი

— სკოლაში?

— ჰო...

— გაკვეთილები გაგვიცდა, — იცრუა გეგიმ.

— გაგიცდათ? — რაღაც ეჭვით გადმოხედა მხატვარმა.

გეგიმ პირი გვერდზე იბრუნა, ტყუილის თქმა არაფერი სასიამოვნო იყო.

კარგა ხანს არც ერთი არ იღებდა ხმას. მერე გეგიმ ჰკითხა:

— უნდა წაიღოთ თანა?

— რაზე ამბობ?

— აი, რომ დახატავთ, ქალაქში წაიღებთ?

— ნახატსა?

— ჰო, აბა კოშკს ხო არა...

— ქალაქში არა... თქვენს კლუბს უნდა ვაჩუქო. შესასვლელში დაჰკიდებენ, გამვლელ-გამომვლელი შეხედავს, მოიწონებს ან დაიწუნებს, რაღაც აზრი გაუჩნდება.

— რო ჰკიდია, ისინი თქვენები ხო არ არი?

— ორი. — კი. „ბავშვიანი ქალი“ და „მწყემსი ბიჭი“, დანარჩენი სხვისებია...

— მართლა? — გაუხარდა გეგის — ყველას მოგვეწონა ის „მწყემსი ბიჭი“. ოღონდ ვერ კი გამოვიცანით, ვინ არი. ნაცნობი სახე აქვს, მაგრამ, ვერაფრით ვერ მივხვდით, ვინ არი... ზოგი ვის ამსგავსებს, ზოგი—ვის...

— მეც არ ვიცი სახელი. ლატფარზე დავხატე. იალაღებზე ამიყვანეს და იქა...

— მეც მწყემსი ვარ. არდადეგებზე ნახირი და საქონელი მაბარია...

— ყოჩაღი ვინმე ყოფილხარ... — შეაქო გეგი მხატვარმა.

— ერთხელ კლდეებში გამოვემწყვდიე...

— შენა?

— დათვმა დაჰკვლია ჩემს ნაგვალევს. მთელი ღამე მიდარაჯეობდა.

გეგიმ თავიდან ბოლომდე მოუთხრო იმღამინდელი თავგადასავალი. სულ დაუხატა თავისი განცდები და ფიქრები.

მხატვარი მალ-მალ გამოხედავდა ხოლმე. გაოცებისა და მოწონების ნიშნად „ვახ-ვახს“ გაიძახოდა. ფრთაულვაშები კვლავინდებურად აუდ-ჩაუდიოდა.

თხრობა რომ დაამთავრა რაღაც სიცარიელე იგრძნო გეგიმ. მთელი ეს ამბავი ბაბესათვის ჰქონდა შემონახული და სხვას კი მოუყვა. გული ეტკინა. მერე რაღაც აზრი ამოუტივტივდა გონებაში, იმან ცოტა გამოაფხიზლა.

— იცით, რა? — გაუბედავად მიმართა მან მხატვარს.

— ჰო, გისმენ, მწყემსო!

„უარი რომ მითხრას?“ — შეფიქრიანდა გეგი.

— იცით, რა... კოშკის ქონგურზე ავძვრები და მეც მიმახატეთ რა...

— მერე... თავბრუ რომ დაგეხვეს?

— იმ ქარაფების მერე სიმაღლისა სულაც არ მეშინია, იმ უფსკრულებთან, ეგ რას მოვა...

— რა ვიცი... — მხრები აიჩეჩა მხატვარმა, — კი არ მეზარება, ის არ იფიქრო.

— გარდა ამისა ამ მურყვამზე ბარე ასჯერ მაინცა ვარ ასული.

— ხო?..

გეგი ადგილიდან მოწყდა.

დარბაზის კარები ურდულით იყო გამოკეტილი. ღრეჩოში ხელი შეაცურა, მერე კარები ცალი ხელით უკან მოიხურა, მეორეთი კი ურდული გადასწია ნელ-ნელა. კარები ჭრიალით გაიღო. ახლა დარბაზიდან საფქვილეში გადავიდა, მერე გრძელი კიბით სხვენზე ამოჭყო თავი და იქიდან კოშკის შესასვლელში გაძვრა. მტვრითა და მურით მოითხუპნა, მაგრამ ამისთვის არც მიუქცევია ყურადღება.

ხის კიბეები დაძველებული იყო. ალაგ საფეხურები ჩამოშლოდა, დაჰყანყალებოდა, გეგი ფრთხილად ებლატებოდა აყუდებულ ხარიხებს.

„ბებრუხუნასავით არ დასცვენია მაგ საწყალს კბილები?“ — შეეცოდა ბიჭს ძველისძველი, მამაპაპური კიბე.

კოშკი გადაუხურავი იყო. ზედ ბალახი ხარობდა, ისეთი მოლი ბიბინებდა, კოტრიალისა და ნებივრობის გუნებაზე დადგებოდი. მაგრამ გეგის არც ერთისთვის ეცალა და არც მეორისთვის. იგი კოშკის ნაპირზე გავიდა და ქონგურიდან ჯიხვივით გაეყუდა, დოინჯი შემოიყარა და კი-

სერი წაიგრძელა. თან დაბლა ჩაჰხედა მხატვარს — ჰა, რას იტყვი, ხომ ელვის სისწრაფით ამოვძვერი მურყვამზეო.

მხატვარი ფეხზე წამომდგარიყო და გამწარებული ხელებს იქნევდა — არ გადმოვარდე, შიგნით შეიწიეო. იძახდა კიდეც რაღაცას, მაგრამ გეგიმდე ვერ აღწევდა იმისი ხმა.

გეგი უფრო გაიბღინძა. თავმომწონედ გაიჯგიმა წელში და შიგნით შეწევის ნაცვლად უფრო სახიფათოდ გაეყუდა გარეთ. მხატვარი ისევ უქნევდა ხელს, ბრაზობდა, მაგრამ გეგი არ აქცევდა მას ყურადღებას, ბოლოს იგი თავის გასაშლელ სკამზე ჩამოჯდა და განაგრძო ხატვა.

გეგის ის ქარაფი ედგა თვალწინ, მთაში რომ გამოემწყვდია თავის თხებთან ერთად და ამ კოშკის სიმაღლე აღარაფრად მიაჩნდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, ბაბეს რომ ამოევლო გზაზე და დაენახა იგი, თითქოს აქედან გადახტებოდა კიდეც, მაგრამ ბაბე ჯერ როგორ გამოჩნდებოდა, ახლა, ალბათ, მესამე გაკვეთილი უმთავრდებოდათ, კიდევ — მეოთხე, მეხუთე და მხოლოდ მერე ამოივლიდა ბაბე.

თუმცა ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა გეგი — ეს ღვთისნიერი კაცი დახატავდა მას, ნახატს კლუბში დაკიდებდა, იქ ბაბე და ამხანაგები ნახავდნენ და გაოცდებოდნენ...

„გაოცება რას მიქვია, სულ ჭკუაზე შეიშლებიან. ზოგს შეშურდება კიდეც, ზოგიც ვაჟკაცობასა და გამბედაობას მოუწონებს, ასე უშიშრად რომ გადმომდგარა ქონგურზე. ბაბე ჯერ ისე მიუახლოვდება თითქოს არაფერიო, მერე დააკვირდება, დააკვირდება და სახე რომ ეცნობა, გაოცების ნიშნად თვალებს დააფახულებს, აქეთ-იქით მიმოიხედავს და თუ ჯიბილა ედგომება გვერდში, შეეკითხება — „ეს ნეტავ, მართლა გეგიაო?“ — აქ წყდებოდა გეგის ფიქრი, ამის იქით ვეღარ წარმოესახა, რა იქნებოდა. აღარ იცოდა, რას უპასუხებდა ბაბეს ჯიბილა, დაუმოწმებდა თუ ეტყოდა: — ვინ გეგი, რაის გეგი, შემთხვევით როგორღაც დაუმსგავსებიათ, აი, იმ მწყემსი ბიჭივითაო.

ან იქნებ დაედასტურებინა? — კი. მართალი ხარ, ეგ ჩვენი გეგიაო.

გეგის ვერც ისე გადაეწყვიტა და ვერც — ასე.

„ის მთაში გადახდენილი ბაბეს ყურამდე ვერ მივიტანე. ამდენი ხნის ნალოლიავები თავგადასავალი იმის ნაცვლად, უცხო კაცს მოვუყევი, მაგრამ, არა უშავს, ამ სურათის ნახვას ხომ მოყოლა არ დასჭირდება!“ — ფიქრობდა ბიჭი.

გეგი კიდევ უფრო გაიჯგიმა, დინჯიც უფრო დარდიმანდულად შემოიყარა, ფრჩხილის სიგრძეზე კიდევ გადაიწია უფსკრულისაკენ და თავმომწონედ გადახედა ფერხთით გაწოლილ ხეობას.

შორიახლო ვერცხლისფრად მილიცლიცებდა მდინარე. წყალგაღმა სპარდიშის უბანი მოჩანდა, გამოღმა კი — სეტი. სეტის თავში თეთრი შენობა იდგა. ეს მათი სკოლა იყო. აი, შორეული ზარის ხმა იქიდან ისმის. „ალბათ მეხუთე გაკვეთილი გამოვიდა — გაუელვა ბიჭს თავში... — მალე ეზოში ბავშვები გამოიშლებიან და სახლებისაკენ გასწევენ. საცაა ბაბე და ჯიბილაც გამოჩნდებიან გზაზე...“

გეგიმ ახლაღა შენიშნა — მხატვარი ხელს უქნევდა, ჩამოდიო. ეტყობა მოემთავრებინა ჩახატვა და ძირს უხმობდა. გახარებული და აღტკინებული გეგი ერთი გემოზე გადაგორ-გადმოგორდა აბიბინებულ მოლზე და მსწრაფლ დაუყვა საფეხურებს.

ის იყო, გამურულმა და მტვერში ამოსვრილმა ქოშინით გამოიხურა დარბაზის კარი, რომ მხატვართან შექუჩებულ ბავშვებში ბაბესა და ჯიბილასაც მოჰკრა თვალი. მათ დანახვაზე გეგის სიამაყე შემოემატა, კვლავ გაიმართა წელში, საზეიმო იერი მიიღო და ისე მიეახლა ამხანაგებს.

ისინი კი ნახატს დასჩერებოდნენ და გეგის მოსვლა ვერც კი გაიგეს.

— ჰხი... ხი... — ჩაახველა გეგიმ, რომ მათი ყურადღება მიექცია როგორმე, მაგრამ მაინც არავის არ მოუხედავს მისკენ. ყველა გაფაციცებით დასცქეროდა ტილოს.

ეს ამბავი მაინცდამაინც არ მოეწონა გეგის. აბა, რა იცოდა, თუ უარესი მერე ელოდა. ნახატს დახედა და თავისი თავი რომ ვერ აღმოაჩინა, მთლად გაგიჟდა — თვალები ამოისრისა, ისევ დახედა. იმ ადგილზე, სადაც თვითონ უნდა მდგარიყო, გაჩხიკინებული კეტივით რაღაც ამოშ-

ვერილიყო ქონგურთან, ეს იყო და ეს. კეტი მოტეხილ რქასავით ედგა მურყვამს. კოშკი თითქოს ზღაპრული ცხოველი რამ იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაგარდახდენილი, დასახიჩრებული...

იმ რქის ნატეხში კი ქაჯ-ეშმაკიც ვერ ამოიცნობდა გულადსა და უშიშარ გეგის, მთელი სამი საათი ორყურა ქოთანივით დოინჯშემოყრილი, სუნთქვაშეკრული რომ ეწვალა და ეტანჯა იმ სიმაღლეზე.

— ეგ რაღაა, ბიძია? — მოიკრიბა გამბედაობა იქ შეკრებილ ბავშვებში ყველაზე პატარა, ცხვირჭორფლა ბიჭუნამ და მელნით მოსვრილი საჩვენებელი თითი ნახატი კოშკის ქონგურისაკენ გაიშვირა.

— რაზე ამბობ? — მოუწკურა თვალი მხატვარმა.

— რაზე? იმ ჩილკა ჯოხზე, ზედ რომ არჭვია... — გაუბედავად მიუგო ბიჭუნამ.

— ხე... ხე... ხე... — თბილად და ეშმაკურად გაეღიმა მხატვარს ჭორფლიანის ნათქვამზე, — ეგრე რატომ გგონია მაინცდამაინც?

— სულ ჩილკაჯოხები ელანდება და იმიტომ. — თქვეს ბიჭის ამხანაგებმა სიცილით...

— ეს ჩილიკაჯოხი კი არა, ამ კოშკის პატრონია, უბრალო ვინმე არ გეგონოთ. ისეთი გულადი ვინმეა, ამქვეყნად არაფრის არ ეშინია, — უთხრა მხატვარმა.

— კაჭიჭივით კი წამომდგარა და... არც ყური აქვს, არც თვალი, არც ხელები და ტან-ფეხი. რა კაცია, გულადობის რა ეტყობა. — თავის ნათქვამზე იდგა ბიჭუნა.

— გაჩუმდი, სირცხვილია... — იდაყვზე წაჰკრეს ხელი ამხანაგებმა, — ჩვენებური ხომ არ გგონია...

— აბა, შენ რამხელა გინდოდა. იმ სიშორეზე ბაყბაყდევისხელას ხო არ დავხატავდი, მურყვამს ხო არ დავანგრევინებდი, ჰა?...

ბიჭუნამ ამაზე ვეღარაფერი უპასუხა, ეტყობა დაეწანა მურყვამი დასანგრევად, ან იქნებ ირწმუნა კიდეც მხატვრის ნათქვამი.

სხვებიც ჩაჩუმდნენ.

გეგის გული დასწყდა, კიდევ კარგი, ყველა სურათის თვალიერებით იყო გართული და მისთვის აღარავის ეცალა, თორემ თავი მოეჭრებოდა ამ ხალხის წინაშე. უკან დაიხია, ნელნელა აიძურწა და მელიასავით ფეხაკრეფით უნდა გასცლოდა იქაურობას, რომ გოგოს ძახილი წამოეწია...

— გეგი, აუ, გეგი... მოიცა, მოიცა...

გეგი ერთ ადგილზე გახევდა. ბაბეს ხმა ტყვიასავით მოხვდა. ერთხანს გაქცევა დააპირა, მაგრამ ვეღარ შესძლო, მუხლები აუკანკალდა. ახლა იგრძნო კოშკზე დაძაბული დგომისაგან მთელი სხეული უკვნესოდა.

„რა უნდა ნეტავი? — გარიხდასულ იდგა გეგი.

— ეს ჩანთა ქაჯ-ეშმაკებს დაუტოვე? — ჰკითხა მიახლოვებულმა ბაბემ.

გეგი შეტრიალდა და გაშტერდა.

ყველანი მას შემოსცქეროდნენ და სიცილს ვერ იკავებდნენ. გეგი მერე მიხვდა, იმაზე თუ ეცინებოდათ მტვერში რომ იყო ამოსვრილი.

მხატვარმა თითი დაუქნია. ამაზე კი მართლა გაბრაზდა გეგი — გამატრიზავა, რაღაც გაჩხიკინებულ კეტს დამამსგავსა და კიდევ აქეთ მექადნება, ეს ვინ ყოფილაო...

— აკი გაკვეთილები გაგვიცდაო, — თვალმოჭუტული უქნევდა თითს მხატვარი.

— მებუხრესავით გამურულხარ... სად იყავი... — უსაყვედურა ბაბემაც.

— არაა შენი საქმე... — ცივად მიუგო გეგიმ.

ბაბემ ჩანთა გაუწოდა.

— როგორა ხარ, გეგი, როგორ დაისვენე? — ჰკითხა გოგომ გაბუსხუნებულ, სახე მომურულ ბიჭს.

— არაა შენი საქმე...

— იცი, რა, დღეს კი დაგინახე, მაგრამ, რატომღაც მომერიდა... — არ ეშვებოდა გოგო.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. თანაკლასელები გვერდი-გვერდ იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ჰა, გეგი, როგორ გაატარე ეს ზაფხული?

— მთაში ვიყავი, ერთხელ ქარაფებში გავიჭედე, დათვმა დაჰკვლია ჩემს ნაკვალევს...

— დათვმა?

— ჰო, აბა...

— მერე, მერე?..

გეგი და ბაბე კოშკებს შორის მიაბიჯებდნენ.

მათ შორიახლო ჯიბილა მიჰყვებოდა. იგი გაბმულად უსტვენდა, თითქოს ტოროლებს მიუთვლისო მახისაკენ, რომელიღაც სევდიან სიმღერას აკვნესებდა...

მაჩუბები კი — სამზეოზე მოფიხვნე ნაბდისქუდიანი და შუბლდაღარული მოხუცებივით თვალს აყოლებდნენ გოგო-ბიჭებს და ბებრულ ხმაზე თითქოს თავისთვის რაღაცას ბურდღუნ-ბუხუნებდნენ.

ავლაბრული ამბავები

ჭრელი ეოსკეკრთლე

ჭაბუკმა ვინმემ შორეულ ქვეყნებში მოგზაურობიდან ასი რუპია ჩამოიტანა. ფული ერთ ბერიკაცს მიაბარა და კვლავ სამოგზაუროდ გასწია.

არავინ იცის მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ, როცა ჭაბუკი

სამშობლოში დაბრუნდა და ფულს მიაკითხა, ბერიკაცმა უარი სტკიცა:

— შენი გულუბრყვილობა ტურას გააცინებს. შენგან ფული არ ამიღია და გიჯობს გზას ეწიოო.

ჭაბუკი ამ პასუხმა დააბნია, მაგრამ კეთილმა ხალხმა ასწავლა, როგორ მოქცეულიყო:

— წადი და იმ გაქნილ ბერიკაცს უადთან უჩივლე.

ჭაბუკი ადგა და უადთან წავიდა.

უადმა დაიბარა ბერიკაცი და ჰკითხა:

— აიღე თუ არა ფული ამ ჭაბუკისგან?

ჩოქზე დაეცა ბერიკაცი, ატირდა და შეეევედრა:

— ყოვლის მხედველმა ალაჰმა უწყის, რომ არავითარი ფული მაგისგან არ ამიღია! განა შეიძლება ჩემი თეთრი წვერის პატრონმა იცრუოს?

მაშინ უადი მიუბრუნდა ჭაბუკს:

— მოწმეები გყავს?

ჭაბუკმა ნიშნად უარისა თავი გაიქნია.

— კარგი. რა ადგილას მიეცი ფული ბერიკაცს?

— ერთი ხის ქვეშ.

— წადი და იმ ხეს გადაეცი, რომ დაკითხვაზე ვიბარებ.

ჭაბუკი შეცბუნდა:

— ო, ბრძენო მოსამართლევ, ხეს რანაირად უნდა ვუთხრა დანაბარები?

— აჰა ჩემი ბეჭედი და დაემუქრე! და თუ არ მოვა, მერე თავის თავს დააბრალოს, რაც დაემართოს.

ადგა გულგასიებული ჭაბუკი და ხის მოსაყვანად წაჩანჩალდა.

წვერ-ულვაშში ღიმილჩამდგარი ბერიკაცი იქვე ჩამოჯდა და დაელოდა.

ნახევარი საათი რომ გავიდა, უადმა მზეს შეხედა და ჰკითხა ბერიკაცს:

— ის ჭაბუკი მისული იქნება ახლა იმ ხემდე?

— ჯერ არ იქნება, — მორჩილად უპასუხა ბერიკაცმა.

უადს გაეღიმა.

გავიდა კიდევ ერთი საათი.

— ახლა მაინც თუ იქნება მისული იმ ხემდე? — კვლავ იკითხა უადმა.

— ახლა კი მივიდოდა, — უპასუხა ბერიკაცმა.

უადს ისევ გაეღიმა.

დაბრუნდა ბოლოს ჭაბუკი. უადს ბეჭედი დაუბრუნა და ნაღვლიანად თქვა:

— ხე არ გამომყვა, ო, ბრძენო მოსამართლევ.

— ხე უკვე იყო აქ, პატიოსანო ჭაბუკო, — უთხრა უადმა.

— როგორ თუ იყო? — შეჰყვირა ბერიკაცმა და წამოხტა. — რატომ ვერ მოვკარი თვალი? შენ ბრმა ხომ არა გგონივარ?

— პირიქით, დიდებული მხედველობა გაქვს, ბერიკაცო, — უთხრა უადმა, — მაგრამ თუ გახსოვს, რომ გკითხე: ახლა ხემდე მივიდოდა თუ არა-მეთქი!

— როგორ არ მახსოვს.

— ისიც თუ გახსოვს, რა მიპასუხე?

— ძალიან კარგად. ჯერ არა-მეთქი.

— თუ გახსოვს, ერთი საათის, შემდეგ რა გკითხე?

— ახლა, მაინც თუ მიაღწევდა იმ ხემდეო?

— ჰოდა, არა მარტო მხედველობა, მეხსიერებაც კარგი გქონია. მაშ იმასაც თუ გაიხსენებ, მაგ კითხვაზე რა მიპასუხე?

— რატომაც არა: ახლა კი მისული იქნება-მეთქი.

— მაშ თუ ამ ჭაბუკს შენთვის ფული არ მოუცია, საიდან იცი ის ხე სადა დგას ან რა მანძილია აქედან იქამდე?

ბერიკაცმა გულბოროტად გადააფურთხა, ჯიბიდან ასი რუპია ამოიღო და ჭაბუკს ფეხებთან ბოლმით მიუყარა.

ეუნაჯლუკრეკული ღანაკარგი

გზაზე მიაბიჯებდა წელთსიმრავლისაგან ორად მოკაკული ბერიკაცი.

წინ ჭაბუკი შემოხვდა და ჰკითხა:

— რა დაგიკარგავს და რას ეძებ, პაპავ, ცხვირი რომ მიწას დაგიბჯენია?

— ახალგაზრდობას, შვილო ჩემო, ახალგაზრდობას, — უპასუხა ბერიკაცმა.

თარგმნა ლადო მრელაშვილმა.



ძორბალიანი საფეხურები

ნუგზარ აფხაზავა

მხატვარი ჯემალ ლოლუა

ფანტასტიკური მოთხრობა

მეთაურმა დაასკვნა:

— ამგვარად, გმირობის ისტორიული ფესვები შორს მიდის, იგი მუდამ იყო: პირველყოფილ საზოგადოებაშიც, კლასობრივ ხანაშიც, დღესაც. ოღონდ ყოველ ეპოქაში მას საკუთარი, განმასხვავებელი ნიშან-თვისება ჰქონდა. კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურებზე გმირობას, ძირითადად, ინსტიქტები განაპირობებდნენ..

— ვერა, ამაში ვერ დაგეთანხმებით, მეთაურო...

ისინი დაბალ სავარძლებში ისხდნენ, ოვალურ მაგიდასთან. მეთაურს გრძელი ფეხები გაემართა, სავარძელში მოშვებული იჯდა და თავი მაღალი საზურგისათვის მიეყრდნო. ახალგაზრდა ექიმი, რომლისთვისაც ეს რეისი პირველი იყო, წელგამართული, თავაწეული იჯდა, ხელები მაგიდაზე ეწყო და მეთაურის პროფილს უყურებდა. მეთაურს მკვეთრი, თითქოს კუთხოვანი პროფილი ჰქონდა, დაახლოებით ისეთი, ხეში ამოკვეთილი პორტრეტი რომაა ხოლმე. ალბათ ამიტომაც ჩანდა ასე მკაფიოდ შორეული ვარსკვლავების მჭრქალ, იდუმალ შუქზე. სალონში სინათლე ხომალდის ყველაზე დიდი ილუმინატორიდან შემოდიოდა, რომელსაც გვერდითი კედლის თითქმის ნახევარი ეკავა, იატაკიდან ჭერამდე. შიდა განათება გამოერთოთ — მეთაურს ბინდბუნდში ჯდომა უყვარდა.

— ამაში ვერ დაგეთანხმებით, — გაიმეორა ექიმმა. — მგონია, ამ შემთხვევაში დაზუსტება სჭირდება თვითონ ცნებას — რას ჰქვია გმირობა.

— სახელდობრ?

— გმირობა არის წინასწარგანზრახული, გაბედული, ვაჟკაცური მოქმედება, რომელიც საზოგადოების სასარგებლოდაა მიმართული და ხშირად თავგანწირვამდე მაღლდება. მაშასადამე, ინსტიქტი, წეღან რომ ახსენეთ, გმირულ საქციელს ვერ განაპირობებს. ეს — ერთი.

— მეორე?

მეთაურის შეკითხვაში ირონია ისმოდა და ამან ახალგაზრდა ექიმი გააღიზიანა.

— კომუნიზმამდე არსებული ყველა საზოგადოება კლასობრივი იყო. კლასობრივ საზოგადოებაში თავისი საზოგადოებისათვის სასარგებლო საქციელი მხოლოდ არსებობისათვის ბრძოლის გამოხატულებაა და სხვა არაფერი. მაშასადამე, კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე ჭეშმარიტი გმირობა არ შეიძლებოდა არსებულიყო. ეს — მეორე.

— მესამე?

— განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ გმირობა მხოლოდ მაღალგანვითარებული ინტელექტის თვისებაა. დღევანდელი ადამიანის ინტელექტის დონე განუზომლად უფრო მაღალია, ვიდრე ხუთასი-ექვსასი წლის წინანდელი, ვთქვათ, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა ადამიანის გონებრივი შესაძლებლობანი. მაშასადამე, ჭეშმარიტი გმირობა შეიძლება ჩვენს საუკუნეში მოხდეს და არა, ვთქვათ, ოცდამეერთე საუკუნის ბოლოს, როცა ადამიანი პირველად გასცდა მზის სისტემის საზღვრებს. ეს — მესამე...

— კმარა!

მეთაურმა მაგიდას ხელი დაჰკრა და წამოდგა. მაღალი

იყო, მხარბეჭიანი. ნელი ნაბიჯით მივიდა ილუმინატორთან. დიდხანს იდგა სამყაროს შავი უფსკრულის პირას, სალონისკენ ზურგშექცეული.

იდგა და დუმდა.

ახალგაზრდა ექიმს მეთაურის „კმარა!" არ სწყენია. მყისვე მოაგონდა: შორეული კოსმოსური ფრენის ცენტრში ერთმა ნაცნობმა გამომგზავრების წინ გააფრთხილა — მეთაურს წარსულზე არაფერი ჰკითხო, საერთოდ, ნუ ილაპარაკებ გარდასულ წლებზეო — ამ კაცის წარსულში იყო რაღაც ფარული, იდუმალი, უთქმელი, რომლის მოგონება ტკივილს იწვევდა მასში. „მაგრამ მე ხომ წარსულზე არაფერი მიკითხავს, — ფიქრობდა ახალგაზრდა ექიმი. — ჩანს, სხვა აკრძალული თემებიც არსებობს. იქნებ გმირობაც აკრძალული თემაა... რომ მცოდნოდა, ამაზე ლაპარაკს არ წამოვიწყებდი... ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტა უცნაური კი ჩანს ჩემი მეთაური, თითქოს სულ სხვა პლანეტიდან არის მოსული..."

— ექიმო, წაკითხული გექნება, რომ მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში დედამიწაზე მძიმე, ბარბაროსული მსოფლიო ომი მძვინვარებდა. სწორედ ამ ომის დროს ისტორიაში ჩაიწერა გმირობის ბრწყინვალე ფურცლები...

— ისტორიას ცუდად ვიცნობ, მეთაურო.

—ოო, ეს არ ვარგა.

მეთაური შემობრუნდა, სავარძელს დაუბრუნდა. ექიმი არ შერხეულა.

— ამ ომში ერთი ჯარისკაცი უყოყმანოდ მკერდით გადაეფარა მტრის ტყვიამფრქვევს — მაშინ არსებობდა სიკვდილის მთესველი ასეთი იარაღი... მეორემ წელზე ხელყუმბარები შემოირტყა და ტანკს შეუვარდა — ტანკი საბრძოლო მანქანა იყო — თვითონაც აფეთქდა და ტანკიც ააფეთქა... მესამემ დაზიანებული თვითმფრინავი მტრისკენ მიმართა, დაიღუპა და ბევრი მოწინააღმდეგეც მოსპო...

— ისტორიაში რა არ იწერება...

— ადამიანები, რომლებიც იმ ისტორიას წერდნენ, გულმართალი და ხელმართალი ადამიანები იყვნენ. მათი სიტყვის ჭეშმარიტებაში დაეჭვება მკრეხელობაა.

ექიმმა მხრები აიჩეჩა.

— ყოველ შემთხვევაში, იმ ჯარისკაცების მოქმედება, შესაძლოა, იმპულსური იყო, კონკრეტული პირობებითა და სიტუაციით ნაკარნახევი. ასეთი მოქმედება კი...

— გმირობად არ ჩაითვლება, არა?... — მეთაურის ხმაში ექიმს ისევ ირონია მოესმა. — კეთილი. რაკი ასეა, სხვა მაგალითს მოგიყვან. — მეთაურის ხმა, რომელსაც აქამდე ლითონის ჟღერადობა ახლდა, ექიმს უცნაურად რბილი და მელანქოლიური მოეჩვენა. — ბოლოსდაბოლოს, მე და შენ თვეობით ერთად უნდა ვიყოთ და ერთმანეთის ახლო გაცნობა არათუ სასარგებლოა, აუცილებელიც არის... თორემ... ბარემ არ მინდოდა ამ ამბის მოგონება... მაგრამ, რაკი ასეა, მომისმინე.

ექიმი სავარძელში უფრო მოხერხებულად ჩაჯდა...

— ყოველ ეპოქაში, ექიმო, არის მეცნიერებათა ერთი დარგი, რომელიც განსაკუთრებული, თავბრუდამსვევი სისწრაფით ვითარდება, ხოლო ყველა სხვა მეცნიერების წინსვლა მასზეა დამოკიდებული. ისტორიაში ცნობილია, მაგალითად, ატომგულური ფიზიკის საუკუნე, კოსმობიოლოგიის ხანა, ასტროფიზიკის ეპოქა და მრავალი სხვა. ოცდამეოთხე საუკუნე, ექიმო, სოციოლოგიისა და მედიცინის საოცარი აყვავების პერიოდი იყო და შენ, რაკი ექიმი ხარ, ეს მედიცინის ისტორიიდან კარგად უნდა გახსოვდეს. მედიცინის სწრაფ განვითარებას ბიძგი მისცა გენიალური ბიოლოგისა და ექიმის ფაზისარის აღმოჩენამ და ბრწყინვალე შრომებმა, რომლებიც შემდგომ გაყინული უჯრედის გაცოცხლების მოძღვრებას დაედო საფუძვლად. ფაზისარის მეთოდი, ეგრეთ წოდებული სრული აღდგენის მეთოდი, 2320-იან წლებში მთელმა სისტემამ აღიარა და ცხოვრებაშიც მტკიცედ დაფუძნდა. სწორედ ფაზისარის მეთოდმა მოგვცა იუპიტერისიქითა პლანეტების სიღრმეში ჩაწვდომის შესაძლებლობა. უამისოდ, დაღუპულ კოსმონავტთა ნაცვლად ახალი ექსპედიციების გზავნას ვერ ავუთავდებოდით.

სოციოლოგიის განვითარებაში მძლავრი ბიძგის როლი ფართო დისკუსიამ შეასრულა, რომელიც ნეოსოციოლოგთა ჯგუფის წინააღმდეგ გაიშალა. ნეოსოციოლოგები ამტკიცებდნენ, რომ კომუნიზმამდე არსებულ საზოგადოებათა ისტორია იმ სახით, როგორითაც ჩვენამდეა მოღწეული, ძველ სინამდვილეს ზუსტად ვერ ასახავს. უფრო გასაგებად, რომ ვთქვათ, ისინი ეჭვით უყურებდნენ ძველ ისტორიკოსებს, რომლებიც მათ თანამედროვეობას, თითქოს, ტენდენციურად, არაობიექტურად ასახავდნენ... ასე რომ, ექიმო, წეღან ისტორიის სიზუსტეში რომ დაეჭვდი, მთლად ორიგინალური კი არ ყოფილხარ.

ჰოდა, 2320-იანი წლებიდან მთელ სისტემაში გაჩაღდა ნადირობა „მოხეტიალე სკაფანდრებზე"...

ექიმი (რომელიც თხრობას ღრმა ინტერესით უსმენდა, წინ გადმოიხარა): — რაზე გაჩაღდა ნადირობა?

მეთაური: — მე ვთქვი: „მოხეტიალე სკაფანდრებზე"- მეთქი. ასე ეძახდნენ კოსმოსში მოგზაურობისას გარდაცვლილ ან დაღუპულ კოსმონავტებს, რომლებსაც, დედამიწისა და მთელი სისტემის ჩვეულებისამებრ, სამყაროში მოხეტიალე ასტეროიდებზე, ან პირდაპირ უჰაერო სივრცეში ტოვებდნენ.

ექიმი: — ეს ძველი ჩვეულებაა. სადღაც წამიკითხავს, რომ უხსოვარი დროიდან ძველი მეზღვაურებიც ასევე იქცეოდნენ.

მეთაური: — გამოდის, რომ შენი ცოდნა ისტორიაში არცთუ მთლად ხელწამოსაკრავი ყოფილა.

ექიმს გაეცინა.

მეთაური: — კოსმოსური ექსპედიციები, რომლებსაც, ძირითადად, იუპიტერისა და ვენერას ორბიტათა შორის გაშლილ სივრცეში აგზავნიდნენ, ყოველთვის წარმატებით როდი მთავრდებოდა. „მოხეტიალე სკაფანდრი" ყოველ ნაბიჯზე კი არ ხვდებოდათ, ხშირად ერთთვიანი ექსპედიციაც კი დედამიწაზე ხელცარიელი ბრუნდებოდა — სამყაროს უკიდეგანო სივრცეში ჩაკარგული პატარა სხეულის მიგნება ძალზე ძნელია. ზოგჯერ ხომალდის ხელსაწყოები შორიახლო მყარ საგანს აღმოაჩენდნენ, ატყდებოდა ერთი განგაში, საგანს მიუახლოვდებოდნენ და... ხელში მომცრო ასტეროიდი შერჩებოდათ.

სამაგიეროდ, თითოეული ნაპოვნი „მოხეტიალე სკაფანდრი" პირდაპირ განძად ფასობდა.

ექიმი: — რატომ?

მეთაური: — ნაპოვნ „მოხეტიალე სკაფანდრს" იქვე, ხომალდზე, ფაზისარის მეთოდით ამუშავებდნენ. ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ოპერაცია წარმატებით მთავრდებოდა. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ 300-400 წლის წინათ გარდაცვლილი კოსმონავტი უკვე ფეხზე იდგა და ხარბად ნთქავდა სამი-ოთხი საუკუნის მანძილზე დაგროვებულ ინფორმაციას, იწაფებოდა ენაში, რომელიც ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ შეიცვალა, ეცნობოდა ხომალდის კონსტრუქციას. იმდროინდელი გაზეთები წერდნენ, რომ უკლებლივ ყველა გაცოცხლებული კოსმონავტი მაღალი ინტელექტის, გამჭრიახი გონების, დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი იყო. აი, სწორედ ისინი, ეს მკვდრეთით აღმდგარი კოსმონავტები, ფასდაუდებელ ცნობებს აწვდიდნენ სოციოლოგებსა და ისტორიკოსებს, ფილოლოგებსა და ბიოლოგებს მათი თანამედროვეობის შესახებ.

2380 წლის მიწურულს პირთვული საწვავით მომუშავე კოსმოსურმა ხომალდმა „ოლემ" იუპიტერის მიდამოებში ორი

„მოხეტიალე სკაფანდრი“ აღმოაჩინა, რომლებიც მხარდამხარ ბრუნავდნენ სისტემის გიგანტური პლანეტის გარშემო.

ოპერაცია წარმატებით დამთავრდა და ერთი კვირის შემდეგ ორივე კოსმონავტს, 24-24 წლის სიმპათიურ, სიცოცხლით სავსე ჭაბუკებს, რომლებიც 1899 წელს, ჰანიმედის* პირველი ექსპედიციის დროს, დაღუპულიყვნენ, კარგახანს არ სჯეროდათ, რომ თითოეული მათგანის ასაკი 405 წლით განისაზღვრებოდა...

ექიმი: — სხვათა შორის... სხვათა შორის, არ მიკვირს, რომ არ სჯეროდათ. ფაზისარის აღმოჩენას ძალიან კარგად ვიცნობ, მაგრამ ნუთუ მაშინ, თითქმის ორასი წლის წინათ,

როცა სრული აღდგენის მეთოდი მხოლოდ ფეხს იკიდებდა, ყოველი ცდა ასე ეფექტურად მთავრდებოდა?

მეთაური: — არ მითქვამს, რომ ყოველი ცდა ეფექტურად მთავრდებოდა, მე ვთქვი: ასიდან — ოთხმოცდაცხრამეტი. იმ ჭაბუკთაგან, საბედნიეროდ, მეასე არც ერთი არ აღმოჩნდა. შენ წარმოიდგინე, სიძნელე მაშინ „მოხეტიალე სკაფანდრის“ აღმოჩენა უფრო იყო, ვიდრე მისი გაცოცხლება...

ექიმმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ მეთაურს ეს არ შეუნიშნავს.

მეთაური — „ოლეს“ ეკიპაჟი ზეიმობდა, მაგრამ ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა: სტარტის წინადღეს სწორედ იუპიტერის ორბიტიდან რეაქტორის ხუფი კარგა მოზრდილმა ასტეროიდმა შელეწა და ატომურ საწვავში ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. საავარიო ავტომატებმა მთელი საწვავი სივრცეში გამოსტყორცნეს. „ოლე“ აფეთქებას გადაურჩა, მაგრამ ფაქტიურად უსაწვავოდ დარჩა.

„ოლე“ საკმაოდ მარტივი, მაგრამ მარჯვე კონსტრუქციის ხომალდი იყო, „გონიერი“ ავტომატებიც გააჩნდა, რის გამოც მისი ეკიპაჟი მხოლოდ ორი წევრისაგან — მეთაურისა და სტაჟიორისაგან შედგებოდა... ამიტომ ღია კოსმოსში ახლა სამნი ადიოდნენ — სტაჟიორი და „ოთხასიანები“ (ასე შეარქვეს გაცოცხლებულ კოსმონავტებს) და ხომალდის შორიახლო გაბნეული საწვავის ნარჩენებს — მდგრადი პლუტონიუმის ნამსხვრევებს აგროვებდნენ. შემდეგ ყველაფერს, რაც ხომალდზე სიცოცხლისათვის აუცილებელი არ იყო — მაგიდებს, სავარძლებს, სარეზერვო სკაფანდრებს, წიგნებს — თავი მოუყარეს და რეაქტორის ნაკვეთურებში მოათავსეს... საქმე ისაა, ექიმო, რომ „ოლეს“ ტიპის რეაქტორები მხოლოდ მაშინ იწყებდნენ მოქმედებას, როცა საწვავის მასა გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბებდა. რა თქმა უნდა, ეს ამ ტიპის რეაქტორების დიდი ნაკლია, მაგრამ იმ დროს ისინი საუკეთესო ძრავებად ითვლებოდა...

„ოლეს“ გამომთვლელმა მანქანამ იანგარიშა, რომ კრიტიკულ მასამდე საწვავს ერთი გრამი მდგრადი პლუტონიუმი ან 120 კილოგრამი ბალასტი აკლდა.

ხომალდის ეკიპაჟი პირად ნივთებსაც შეელია; როგორც იქნა, კიდევ 50 კილოგრამამდე ბალასტი შეაგროვეს და, იმის იმედით, იქნებ გამომთვლელი მანქანა ცდებაო, რეაქტორის ჩართვა სცადეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ამასობაში იუპიტერისა და მისი მრავალი თანამგზავრის გრავიტაციული ველის გავლენა თანდათან საგრძნობი ხდებოდა, „ოლეს“ და პლანეტას შორის მანძილი მცირდებოდა და ხომალდს იუპიტერის მძლავრი მიზიდულობის სამუდამო ტყვეობის საფრთხე დაემუქრა.

ჰოდა, სწორედ მაშინ მოხდა ის, რაც, შენი ჰიპოთეზის თანახმად, არ უნდა მომხდარიყო, ექიმო...

ექიმი: — სახელდობრ, რა?

მეთაური: — ის, რომ ერთ-ერთმა მკვდრეთით აღმდგარმა კოსმონავტმა ხომალდი თავისი გმირობით გადაარჩინა. შენი ჰიპოთეზის თანახმად კი მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაბადებული ადამიანი გმირობისათვის ინტელექტურად მოუმზადებელი იყო...

ექიმი: — დიახ, გმირობისათვის, წინასწარგანზრახული გაბედული მოქმედებისათვის, რომელიც ზოგჯერ თავგანწირვამდე მაღლდება...

მეთაური: — აქამდე სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, ხუმარა „ოთხასიანები“ ბოლო დღეებში შეიცვალნენ, მოიღუშნენ, მოიწყინეს. ხშირად განმარტოვდებოდნენ ხოლმე და ხმადაბლა თათბირობდნენ, ზოგჯერ დაობდნენ კიდეც. ერთ დღეს ერთმა „ოთხასიანმა“ სკაფანდრი ჩაიცვა, ღია კოსმოსში გავიდა, მეორემ კი მთავარ კაბინაში ხომალდის მეთაურს მიაშურა.

---

* ჰანიმედი — იუპიტერის 12 თანამგზავრთაგან უდიდესი.

მეთაურმა შემოსულს შეხედა და წამოდგა — ახალგაზრდა კაცს სახე გაქვავებოდა.

— რა მოხდა?

— ჩართეთ რეაქტორი, მეთაურო...

მეთაური ნელა შებრუნდა. ავტომატებმა წამის მეათედში განსაზღვრეს საჭირო კურსი. ხომალდის ყველა სალონსა და კაბინას მზადყოფნის ბრძანება გადაეცა. მეთაურმა თითი დააჭირა ღილაკს. ხომალდი შეზანზარდა. იუპიტერი ნელ-ნელა ჩაცოცდა ქვევით. მთავარ კაბინაში რეაქტორის ყრუ გუგუნი ისმოდა. კაბინის კარი გაიღო. ზღრუბლზე სტაჟიორი იდგა:

— მეთაურო, რეაქტორი ჩაირთო...

— მე ჩავრთე....

— მეთაურო... მეორე „ოთხასიანი"... ღია კოსმოსშია.

მეთაურისა და მკვდრეთით აღმდგარი კოსმონავტის მზერა ერთმანეთს შეხვდა. კოსმონავტმა სახეზე ხელი აიფარა.

„ოლეს" მეთაური წელში გასწორდა და საზეიმო კილოთი თქვა:

— სტაჟიორო, ადამიანი, რომლის სხეულის შემადგენელი ატომები შენ ახლა დედამიწისაკენ მიგაქროლებენ, გმირი იყო... დაიმახსოვრე ეს...

ექიმმა ღრმად ამოისუნთქა.

— დიახ, ის „ოთხასიანი" ჭეშმარიტად გმირი იყო, რადგან ვერავითარი იმპულსი ან ინსტინქტი ადამიანს რეაქტორში ვერ შეიყვანდა. მაგრამ, მეთაურო, იქნებ იგი გამონაკლისი იყო?

მეთაური წამოდგა, ისევ ილუმინატორთან მივიდა.

— ეჰ, ჩემო კარგო, შენ ახლა ხავსს ეჭიდები. წაიკითხე მეოცე საუკუნის ისტორია და დარწმუნდები, რაოდენ გმირული საუკუნე იყო იგი. ეს იყო შრომითი გმირობის, მეცნიერული გმირობის ეპოქა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ყველა მთავარი გზა მეოცე საუკუნეში დაისახა. პატივი ეცი ამ საუკუნეს, ჭაბუკო.

ექიმმა შენიშნა, რომ მეთაურის ხმაში უწინდებური ფოლადი აჟღერდა და ხმადაბლა იკითხა:

— გმირის მეგობარს, მეორე კოსმონავტს, რაღა მოუვიდა?

მეთაური მცირე ხანს დუმდა. მერე მკვეთრად შემობრუნდა, მაგიდასთან სწრაფი ნაბიჯით მივიდა და შეჩერდა. არ დამჯდარა. ექიმი წამოდგა — უხერხული იყო თავს წამომდგარი უფროსი ადამიანის წინაშე სავარძელში ჯდომა. მეთაურმა, თითქოს ამას ელოდაო, გაუღიმა, ბინდბუნდში თეთრი კბილები გააელვა და ახალგაზრდა კოლეგას მხარზე ხელი დაადო.

— მეორე კოსმონავტმა მხოლოდ სამიოდე წელი დაპყო დედამიწაზე. სოციოლოგებსა და ისტორიკოსებს უამრავი ძვირფასი ცნობა მიაწოდა. მერე კოსმოსურ ცენტრში მივიდა და „ჰელიოსის" ექსპედიციაში ჩარიცხვა ითხოვა.

— ოჰო! — გაიკვირვა ექიმმა. — დაახლოებით ვიცი ამ ექსპედიციის ისტორია. იგი პირველი გასცდა მზის სისტემას, პირველმა მიაღწია უცხო სამყაროს, პირველი მიუახლოვდა სინათლის სიჩქარეს, პირველმა დაამტკიცა დროის პარადოქსის არსებობა... ამ ექსპედიციაში თქვენც მონაწილეობდით... მაშასადამე, იცნობთ იმ კოსმონავტს?..

მეთაურმა გაიცინა და სალონში გაიარ-გამოიარა.

— აკი ვთქვი, შენი ისტორიული განათლება არცთუ ხელწამოსაკრავია-მეთქი.

— „ჰელიოსის" სახელი ბავშვმაც კი იცის...

— ჰო, რა თქმა უნდა... ჰოდა, ჩარიცხეს კოსმონავტი ექსპედიციაში. წავიდა და თითქმის ასოთხმოცი წლის შემდეგ დაბრუნდა. დაბრუნდა უვნებელი, გულგაუტეხელი, ძველებურად სიცოცხლის მოყვარული..

— ახლა, ახლა სად არის, მეთაურო?

— ახლა? — მეთაურმა უცნაურად გაიცინა, ექიმთან მივიდა და წინ დაუდგა. მაღალი იყო, მხარბეჭიანი. ხელები გაიწოდა და მხრებზე ჩამოაყრდნო. — არ ვიცი... ახლა, ალბათ, ნიაგარასთან, ოქროს ნაპირზე ან შოვში ცხოვრობს და ისვენებს. რაო, არ დაუმსახურებია თუ რა?

მეთაური სავარძელს დაუბრუნდა.

ექიმი ერთხანს იდგა. არაფერს ხედავდა,არაფერზე ფიქრობდა. მოულოდნელმა მიხვედრამ თითქოს ენა ჩაუგდოო. მერე, აზროვნების უნარი რომ დაუბრუნდა, მოაგონდა, შორეული კოსმოსური ფრენის ცენტრში რომ გააფრთხილეს — წარსულზე ნურაფერს ჰკითხავო: „აკი ამიტომაც ასე თავგამოდებით იცავდა მეოცე საუკუნეს... ღმერთო ჩემო... „ჰელიოსის" დაბრუნება კარგად მახსოვს, თუმცა ბავშვი ვიყავი... ამის სურათებმა მაშინ მთელი სისტემის გაზეთები შემოიარა — სენსაცია: 500 წლის ადამიანი!.. ღმერთო ჩემო!.."

— მეთაურო... ეს თქვენა ხართ?..

მეთაური არ შერხეულა. თვალდახუჭული იჯდა. მკვეთრი, თითქოს კუთხოვანი პროფილი ჰქონდა, დაახლოებით ისეთი, ხეში ამოკვეთილი პორტრეტი რომაა ხოლმე...

— მე ვარ, ექიმო... ნუ ღელავ... ხვალ დამუხრუჭებას ვიწყებთ — იუპიტერს ვუახლოვდებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაზე

ვლადიმერ
ცარუკაევი
ოსი პოეტი

მომისმინეთ, ახლა მე ერთ
უკუღმართზე გიამბობთ,
ბორბალიო, ამბობს ყველა,
ის კი გეტყვით: ,,ილაბრობ''.

ყველა ამბობს — სემაფორი,
ის კი გეტყვით: ,,ოროფამეს''.
სხვა მაგიდას მიუჯდება,
ის მაგიდად ხმარობს სკამებს.

მერხთან ზის და არ ისვენებს,
ლაპარაკობს, ყვირის ყბედობს,
დაფასთან კი ჩუმადა დგას,
თვალებს აგყეტს უიმედოდ.

ჩვარს ფანჯრიდან გადააგდებს
და დაფას კი სწემნდავს ხელით,
ამბობს: ,,რა ვქნა, მე უკუღმა
მეხერხება ყველაფერი.

რომ მეტყვიან. წინ წადიო,
მე მაშინვე ვიწევ უკან;
მირჩევნია, რომ ვთქვა ,,აკურ-
არასოდეს ვიტყვი ,,რუკას''.

არ დაგიდევთ ნამუს-სირცხვილს,
დღესაც ერგო ორიანი;
სად არისო, ჰკითხეს, ბაქო,
მან უჩვენა ორიოლი.

ქოდა, გუშინ დავუწერე
ბრაზითა და ქილიკით:
,,შენ იქცევი ვით ილელუს!
(წაიკითხე პირიქით)''.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.

რევაზ თვარაძე

გალაკტიონი

,,ნაკადულმა'' სერიით ,,გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება'' გამოსცა რ. თვარაძის წიგნი — ,,გალაკტიონი''. დიდ ქართველ პოეტზე — გალაკტიონ ტაბიძეზე უკვე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურაა გამოქვეყნებული, მაგრამ ეს არის ყველაზე გავრცობილი, მრავალი ახალი ბიოგრაფიული ფაქტით მდიდარი გამოკვლევა.

პოეზიის ჭეშმარიტი მოყვარული ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავს, დიდი ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ, სიყვარულითა და ერუდიციით დაწერილ ამ წიგნს.

ანზორ აბულაშვილი

საუბარი გრძელდება

ანზორ აბულაშვილს უთუოდ იცნობთ პოეზიის მოტრფიალე ყმაწვილები. მისი ბევრი ლექსი

დაბეჭდილია ,,დილასა'' და ,,პიონერში''. ახლახან გამოსულ მის წიგნში ,,საუბარი გრძელდება'' ახალი ლექსებია შეტანილი. სამშობლო, წინაპართა აჩრდილები, მეგობრობა, ახლობლები, ჩვენი დღევანდელობა — აი, ის ძირითადი თემები და მოტივები, რითაც პოეტის შემოქმედება საზრდოობს.

გრიგორი სკოვოროდა

ხარკოვული

იგავ-არაკები

იუნესკოს გადაწყვეტილებით 1972 წელს მსოფლიოს პროგრე-

სულმა საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა პირველი უკრაინელი იგავთმწერლის, ფილოსოფოსისა და პოეტის გრიგორი სკოვოროდას დაბადების 250 წლისთავი. სკოვოროდას რამდენიმე არაკი თქვენ, ალბათ, ,,პიონერშიც'' წაიკითხეთ, ახლა კი გამომცემლობა ,,ნაკადულმა'' ცალკე წიგნად გამოსცა მისი არაკები.

აღსანიშნავია, რომ ეს იგავ-არაკები მის თანამედროვეთა შორის ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და პოპულარული იყო. პირველად ისინი 1587 წელს გამოიცა მოსკოვში, ქართულად კი ახლა დაისტამბა.

ნახტომი

თამაზ ფიფია

მხატვარი
ო. ჩხარტიშვილი

მოთხრობა

— შეხედე, შეხედე, იხვი ჩამოჰყვა წყალს! — წამოიძახა ბიკიმ და იდაყვებზე წამოიწია.

სილაზე წამოგორებულმა ბიჭებმა მდინარეს გახედეს.

— აი, იქ ჩაიყურყუმელავა, — ხელი გაიშვირა ბიკიმ.

მარჩხებში, სადაც წყალი დიდ ლოდს შხუილით ეელებოდა გარშემო, ვიღაც ბიჭის შავქოჩორა თავი გამოჩნდა. ბიჭს ხელები ლოდისთვის შემოეჭდო, ხან აეკვრებოდა ზედ, ხან ცოტათი დასცილდებოდა და ხანაც ისე აეფარებოდა, რომ სილაზე წამოგორებულები ვერ ხედავდნენ. მალე ლოდს თავი ანება და დინებას თხელი წყლისაკენ გამოჰყვა, მერე ნაპირზე ამოისვეტა, მარჯვენა ხელი მოწყვეტით გაიქნია. ჰაერში ასროლილი თევზი ვერცხლისფრად გაბრწყინდა და რიყის თეთრ ქვებზე ტყლაშანით დაეცა.

— ბარაქალა! ასი! ასი! — დასჭყივლეს სილაზე წამოგორებულებმა.

მდინარიდან გამოსულმა ბიჭმა, აქაოდა თქვენი ძახილი გავიგონეო, მისალმების ნიშნად ხელი ასწია, რიყეზე მოფართხალე თევზი აიღო, ნაპირს აუყვა და წყლისპირა ფლატეს მიეფარა. კვლავ როცა გამოჩნდა, მარჯვენათი მავთულზე აცმულ თევზებს მოაკონწიალებდა.

— მაგრად გითევზავია, იხვო! — აღფრთოვანდა ტუზა.

— ისე რა, — აგდებულად მიუგო იხვმა, თევზების აცმა ამხანაგებისაკენ ისროლა და ამაყად დაუმატა: — სულ წვერაა!

ბიჭები წამოცვივდნენ, თევზების ირგვლივ ჩაცუცქდნენ და ვერცხლისფერ ქერეჭში ხელები ააფათურეს — თითოეულის სიგრძე-სიგანეს ზომავდნენ.

იხვს მზემოკიდებული, დაკუნთული სხეული შავად უბზინავდა. ერთმანეთზე გადაბმულ ყორნისფერ წარბებქვეშ დიდრონი, მკვირცხლი თვალები უელავდა. მისი ნამდვილი სახელი იმედრ იყო, მაგრამ მდინარის პირას ამ სახელს იშვიათად თუ დაუძახებდა ვინმე. ოსტატურად ცურვისათვის ამხანაგებმა იხვი შეარქვეს. წყალში ვერავინ ხტებოდა ისე ლამაზად, როგორც იხვი; მდინარეში დაჭერობანას თამაშისას ყველაზე ძნელი იხვის მოხელთება იყო; მყვინაობის* დროს მოწინააღმდეგეს ელვის სისწრაფით მოავლებდა ხელს კისერში და მდინარის ფსკერზე გზავნიდა „ქვების დასათვლელად“.

სილაზე თავმოყრილი ბიჭებიდან თითქმის ყველას ზედმეტი სახელი ერქვა. მაღალსა და გამხდარ ბიჭტორს ბიკი ერქვა; მუდამ ლოყებლაჟღაჟა, ჯმუხ და ჩაფსკვნილ შაქროს — ტუზა; მზეზე გაშავებულ, ისედაც შავგვრემან გურამს — ხოჭო; ძონძროხა კოლიას, ბებიამისის მსუქანი ღორის პატივსაცემად — მაშკა.

ტუზამ იხვს მხარზე ხელი დაჰკრა:

— მართლა ხელით დაიჭირე ყველა?

— ჰო. მომეცით, წყალში ჩავკიდებ, თორემ გაფუჭდება.

იხვმა ასხმულა მდინარისაკენ წაიღო. თევზები წყალში რამდენჯერმე ამოავლო, მერე შიგ ჩაჰკიდა. მავთულის თავს რიყის ქვა დაადო და გამობრუნდა.

— იხვო, ბიკი ამბობს, წყალში ათ წუთზე მეტს შეიძლება გასძლოს კაცმაო, მართალია? — შეაგება კითხვა ხოჭომ.

— ათ წუთს არა...

— მე მყვინთაველებზე ვამბობ. — წამოიძახა ბიკიმ.

— მყვინთაველები სხვანაირი ადამიანები არიან? — იკითხა ტუზამ.

ბიკიმ ჩაიქირქილა და ხელი ჩაიქნია, რაც ნიშნავდა: აბა, თქვენ... ეი, იცით და რა გელაპარაკოთო.

— არიან, აბა არა! — გაიკვირვა მაშკამ. — კინოში მაინც არ გინახავს, რა ღრმად ეშვებიან წყალში?

— ეეე... — ტუზამ მარჯვენა ხელის თითები თავს ზემოთ წრიულად შემოივლო და მერე მაღლა აიქნია.

— გააფრინა. იმათ სკაფანდრები აცვიათ და ზურგზე ჰაერით სავსე ბალონი აქვთ წამოკიდებული.

— უსკაფანდროდაც...

— შენ რამდენ ხანს ძლებ წყალში? — დამცინავად შეეკითხა ტუზა.

— ხი... ხი... ხი... — გადაკოტრიალდა ხოჭო. — ეგ წყალში ჩაყურყუმელავებას სულაც ვერ ახერხებს

სხვებმაც გაიცინეს.

— შენზე მეტს მაინც გავძლებ, — წამოწითლდა მაშკა.

— მოდი გავეჯიბროთ...

— მარტო თქვენ კი არა, ყველანი გავეჯიბროთ ერთმანეთს, — შესთავაზა ამხანაგებს ტუზამ.

მზეზე გახურებულ ბიჭებს წყალში ყოფნა მონატრებოდათ და საბაბს ეძებდნენ, რომ ერთად წამოშლილიყვნენ. ტუზას ნათქვამი ჭკუაში დაუჯდათ.

— მოგებულს რა? — იკითხა იხვმა.

— ათი პანღური, — გაიკრიჭა ხოჭო.

— იხვს მოხვდება! — გაიხარეს ბიჭებმა.

ბიჭები მდინარის ნაპირს მოედვნენ.

— აბა, მაშკამ დაიწყოს, — ნიშნის მოგებით თქვა ტუზამ და სეირის მოლოდინში თვალები გაუბრწყინდა.

მაშკამ დაიწყო და ბიჭები სიცილით დაიხოცნენ. იგი წყალში თავის ჩარგვას კი ახერხებდა, მაგრამ ეს იყო და ეს. სხმარტალებდა, სასაცილო წრეებს უვლიდა, ჩაყურყუმელავება კი ვერაფრით ვერ მოეხერხებინა. ორმოცამდე არც დაუთვლიათ, რომ ქშენით ამოვარდა წყლიდან.

ტუზამ სამოცს გადააჭარბა. ხოჭომ ხუთით გადაამეტა მაშკას. ნამდვილი ფინალი კი წინ იყო.

ბიკიმ მხრები დაიქნია, გამხდარ ბარძაყებზე ხელები ჩამოისვა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და მკლავგაშლილი ეკვეთა წყალს.

ყველა გრძნობდა, რომ ბიკი იქვე იწვა, წყლის ფსკერზე, რადგან იქიდან ზოგჯერ ჰაერის პატარა ბუშტულები მოისწრაფოდნენ ზედაპირისა-

* ორთაბრძოლა წყალში ჩასაძირავად.

კენ. მერე იმ ადგილზე წყალმა ტრიალი დაიწყო. მალე ბიკის თავიც გამოჩნდა, მაგრამ სახე წყლიდან არ ამოუღია. გამწარებული აწყდებოდა აქეთ-იქით. საცაა გაიგუდებოდა და მაინც დროის მოგება სურდა.

— რამდენია? — სულს ძლივს ითქვამდა ბიკი

— ასოცდაათი!

— აბა, დაიწყეთ თვლა, — დაიძახა იხვმა და ნაპირთან შემდორებულ წყალში ისე სწრაფად და უხმაუროდ გაუჩინარდა, ზოგიერთმა თვალის შევლებაც ვერ მოასწრო.

ტუზამ ას ოთხმოცამდე რომ დათვალა, ბიჭებს შიშნარევი აღტაცება დაეუფლათ. მდინარეს გაფაციცებით აკვირდებოდნენ, რომ როგორმე იხვის კვალი მაინც შეემჩნიათ.

— ეგერ, — დაიძახა მაშკამ და ხელი დინებას გააყოლა. — ჰაუ, რა შორსაა!

იხვი აქოშინებული მოარღვევდა მუხლამდე წყალს და შორიდახვე ემჩნეოდა, რომ სახეზე გამარჯვებულის ღიმილი უკრთოდა.

ადგილი, სადაც ბიჭებს თავი მოეყარათ, სოფლის საუკეთესო საბანაო მორევად იყო მიჩნეული. დაფერდებული, ვერცხლისფერი მარჩხებით კლდის ტინებს შემსკდარი წყალი აქ მკვეთრად უხვევდა, თანდათან წყალარდებოდა და ისე ღრმავდებოდა, რომ ფსკერიდან ქვის ამოღება სიყოჩაღედ ითვლებოდა. მორევს მარცხნიდან უსწორმასწოროდ აჩხერილი კლდეები გადმომხობოდნენ. მოპირდაპირე მხარეს კი გაშლილი, ალაგ-ალაგ მოსილული რიყე ხელოვნურად გაშენებულ აკაციის ხეივანს უერთდებოდა.

ნაშუადღევს აქ ბლომად იყო ხალხი. ზაფხულის ხვატით შეწუხებულნი ლოცავდნენ ანკარა მდინარეს, რომელიც თავისი სასიამოვნო ცივი წყლითა და ხეობას ჩამოყოლილი გრილი სიოთი გულუხვად უმასპინძლდებოდა სტუმრებს.

ბიჭებმა უცნობს ყურადღება მაშინ მიაქციეს, როდესაც იგი მდინარის გასწვრივ აჩხერილ კლდეს თავში მოექცა. დიდები იშვიათად აბობღდებოდნენ ასე მაღლა, თანაც შემკრთალნი ასავსავებდნენ ხელებს და გაორკეცებული სიფრთხილით ეშვებოდნენ ქვევით. უცნობმა კი მიიხედ-მოიხედა, წყლის ზედაპირს ერთი დააკვირდა, მერე დაჭკრა ფეხი და მსუბუქად გადაევლო რამდენიმე მეტრზე წინ გამოშვერილ ტინებს.

ბიჭებს თვალები გაუფართოვდათ, აღტაცების შეძახილი აღმოხდათ. რაც თავი ახსოვდათ, იქიდან არავინ გადმომხტარა. სიმაღლით მათ ვერ გააკვირვებდით, მაგრამ იმ ლოდებზე გადახტომა დიდ გამბედაობას მოითხოვდა.

— ვინაა? — ჩურჩულებდნენ ისინი და ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდნენ უცნობს.

უცნობი კარგად ცურავდა. მხარულის მოსმისას წელში ისე მოქნილად იკეცებოდა, თითქოს წყლის ზედაპირზე მისრიალებსო.

— ნახე?! — ტუზას თვალები უბრწყინავდა.

იხვმა თავი დაუქნია.

— გასაკვირალია, არა?!

იხვმა მხრები აიჩეჩა და პასუხი არც ახლა გასცა. ნაპირზე გამოსულ უცნობს აკვირდებოდა. იგი შავგვრემანი, მაღალი და გამხდარი ახალგაზრდა იყო. წამდაუწუმ ისწორებდა შუბლზე ჩამოშლილ სველ თმას. არავის გამოლაპარაკებია, ისე ჩამოჯდა რიყეზე.

„ქალაქელი იქნება. ასე კარგად ცურვა მარტო ქალაქელებმა იციან, რადგან მოცურავეებს მასწავლებლები ჰყავთ და ავარჯიშებენ“, — გაიფიქრა იხვმა. კინოჟურნალში უნახავს: საცურაო აუზებში სიმაღლიდან ხტომისას მოცურავეები ისეთ სალ-

ტომორტალეს აკეთებენ, რომ უკეთესს კაცის თვალი ვერ ინატრებს. თვითონ კი რამდენჯერაც სცადა, იმდენჯერ ზურგით მოადინა ტყაპანი...

უცნობი ჭაბუკი რიყის ქვებზე გაწვა და ზურგი მზეს მიუშვირა. იხვი ახლოს მიუჩოჩდა. უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ეუხერხულა. ექვსი-შვიდი წლით მაინც იქნებოდა იხვზე უფროსი. უცნობი ცოტა ხანს გაყუჩებული იწვა, მერე წამოდგა, წყალში ამოვლო, ჩაიცვა და ჩქარი ნაბიჯებით წავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

•

იხვი სილაში ამოგანგლული იწვა, გადაჭდობილ მკლავებში თავი ჩაერგო და დახუჭულ თვალებს მარჯვენა ხელის მაჯაზე ისრესდა. გარშემო შავ-წითელი, ცისფერი, ნარინჯისფერი ბურთულები ეხვია, რომლებიც ფართო წრეებად იშლებოდნენ და, თითქოს ფრთები ჰქონოდა, ისე მიაქროლებდნენ იდუმალ სამყაროში.

იხვი ოცნებობდა: აი მას მწვრთნელი ჰყავს და ასწავლის ფეხების მოძრაობას ისე, როგორც ამას უცნობი მოცურავე აკეთებდა. იხვი უცებ ეუფლება ილეთს და უკვე ისე სწრაფად მოცურავს, რომ ხალხით სავსე ტრიბუნები გაოცებულია. არაქათგამოცლილი მოწინააღმდეგენი თავგანწირვით მოსდევენ უკან. იხვს კი გუნებაში ეცინება — იცის, ვერავინ დაეწევა. მერე სახტომ კოშკზე ადის, ამაყად ავლებს თვალს ტრიბუნებს, მიყურეთ, როგორი სალტომორტალე გავაკეთოო, და გაბედული ნახტომით წყლისაკენ ეშვება. აი, უკვე გადატრიალდა: ყირამალა, მაგრამ ამას არ სჯერდება. მეორეჯერაც უნდა გადატრიალდეს და... თფუი, კვლავ ზურგით ეცემა.

იხვი გაღიზიანდა. თვალები გაახილა. მზეზე დიდხანს წოლისაგან ბეჭები ეწვოდა. წამოდგა, გახურებულ რიყეზე ხტუნვა-ხტუნვით გაიარა, ნაპირზევე ჩაგორდა მდინარეში და შვება იგრძნო. გაცხადდა წარმოსახული: საოცარმა სიმსუბუქემ აიტაცა მისი სხეული და მდინარე მორჩილად განერთხო მკლავებქვეშ.

ბიჭებს თავი მოეყარათ კლდეების ქვემოთ, ლოდების სიგანეს ნაბიჯებით ზომავდნენ. ტუზა ამტკიცებდა — ექვსი მეტრი მაინც იქნებაო. ზოგიერთი ამბობდა — მეტიც არისო. რამდენიმე ბიჭი კლდის ქიმზე გადმომჯდარიყო და გაცხარებით არკვევდა, შეიძლებოდა თუ არა აქედან გადახტომა.

იხვი ლოდებზე გადმოფოფხდა, სველ თმებსა და წარბებზე ხელი ჩამოისვა და გულგრილად იკითხა:

—რაზე კამათობთ?

— საოცარი არ არის იქიდან გადმოხტომა?!

— დიდი რამე!.. — მშვიდად თქვა იხვმა.

— ხომ ვამბობდი, იხვი შეძლებსმეთქი, — გაიხარა ტუზამ.

ბიჭების გამოხედვაში უნდობლობა და იუმორი გამოკრთა.

— ვნახოთ.

ამ სიტყვებმა იხვზე ხელის წაკვრასავით იმოქმედა. გული მოუვიდა და, თითქოს ვიღაცას ნიშნს უგებსო, ისე დაიქადნა:

— ადვილადაც გადავხტები.

— ბიჭებო, ბიჭებო! — გასძახა მეორე ნაპირზე მყოფთ ტუზამ, — უყურეთ, უყურეთ, იხვი საიდან გადმოხტება!

იხვს არ ეგონა თუ ყოველივე ასე უცებ გადაწყდებოდა. უნდოდა, ჯერ კარგად დაეზვერა იქაურობა და ჩანაფიქრი მერე გაემჟღავნებინა, მაგრამ გზა მოუჭრა თავისივე მეტიჩრულმა განცხადებამ — „ადვილადაც გადავხტები“.

ზევიდან რომ გადმოიხედა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო. შიშმა ჯერ ძარღვებში დაუარა, მერე მუხლები აუკანკალდა.

სეირის მაყურებლები ნაპირს მოაწყდნენ. აკაციების ხეივანში მსხდომნიც წამოიშალნენ.

— არ გინდა, შეეშვი, — დაუძახა შეშინებულმა ბიკომ.

— ბიჭო, ჩამოდი ძირს! არ გადმოხტე! — აღშფოთდა ნაპირზე მდგომი ვიღაც მოხუცი.

იხვს ფერი ეცვალა. გახევებული იდგა და მოჯადოებულივით დასცქეროდა წყალს. „თავი ხომ არ მოგძულებია?“—კვლავ მოესმა მოხუცის აღელვებული ხმა. უკვე ქვევით ჩამოსვლას აპირებდა, ხოჭოს ნათქვამი რომ გაარჩია:

— თუ არ შეეძლო, რას იჭიმებოდა!

„თუ არ გადავხტები, დაცინვას დამიწყებენ“, — გაიფიქრა იხვმა. შეგულიანდა. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და გამოქანდა: ჰაერში მერცხალივით მკერდგამობურცული გადმოეშვა, მერე უცებ წელში მოიკეცა და უცნაურად მოიკრუნჩხა.

ირგვლივ მყოფთ ჟრუანტელმა დაუარა. ზოგიერთმა თვალებზე ხელები აიფარა.

•

ახლა იმედოც აკაციების ჩრდილში იჯდა დიდებთან ერთად, რომლებიც თავს აბეზრებდნენ ერთი და იგივე შეკითხვებით.

— გადმოხტომისას ქანი კარგად ვერ ავიღე, — ჰყვებოდა იმედო. — მივხვდი, რომ ფეხებით ლოდებზე ვეცემოდი. ვეცადე, მაგრამ მარჯვენა ფეხის თითები მაინც მომიხვდა ლოდის კიდეზე. ტკივილმა გამაბრუა. მომეჩვენა, რომ გონებას ვკარგავდი. ყვირილი მინდოდა, მაგრამ პირი წყლით ამევსო და კინაღამ დავიხრჩვი...

— ხო... ხო... ხო!.. — ჰკვირობდნენ მსმენელები და იმედოს ჭკუას არიგებდნენ — ასეთი რამ არ გაბედო მეორედ.

იმედო ცალი ყავარჯნით დადიოდა. ფეხი ნელა ურჩებოდა! სწყინდა, რომ არდადეგებს ასე ატარებდა. ცერი და ორი მომდევნო თითი დაუმახინჯდა — ძვლები ჰქონდა დაჩეჩქვილი. ექიმის ნათქვამიდან იმედის მომცემი ის იყო, რომ ცერს სახსარში

ამოძრავებდა და არ დაკოჭლდებოდა.

ბიჭები შემოხვეოდნენ ყავარჯნიანს.

— გადარჩი, ჰა, — ეუბნებოდნენ ისინი.

— გადავრჩი—იღიმებოდა იმედო.

— ხომ გითხარი, არ გადახტე-მეთქი, — უკვე მერამდენედ ეუბნებოდა ბიკი.

— არ დაგიჯერე და...

— ალბათ გულმა მიგრძნო, — თავს იქნევდა ბიკი.

— არ შეიძლება იქიდან გადმოხტომა. — ასკვნიდნენ ბიჭები.

— აკი გადმოხტა ვიღაც.

— რა იცით, იქნებ ის ჩემპიონი იყო, — თქვა ტუზამ.

ბიჭები ჩაფიქრდნენ.

— ჩემპიონი ჩვენს სოფელში?! — გაიკვირვა მაშკამ.

— მოცურავე სპორტსმენი მაინც იქნებოდა.

— ქალაქში ცურვას და ხტომას კარგად ასწავლიან, — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა იმედომ... — ჩვენც რომ მოგვცა საცურაო აუზი, რა კარგი იქნებოდა!

— აქაც გვეყოლებოდა ჩემპიონი. ქალაქელებზე ნაკლები რითი ვართ? — გულისტკენით თქვა ტუზამ.

ბიჭები დიდხანს არკვევდნენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საცურაო აუზი. თუ აუზი არ იქნებოდა, ღია ცის ქვეშ საგანგებოდ დაგუბებულ წყალზეც ყაბულს იყვნენ, მასწავლებელი კი აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ, რადგან უმასწავლებლოდ, აბა, რა სპორტსმენები გამოვიდოდნენ.

•

ყავარჯენი როგორც კი მიაგდო, იმედომ ბანაობაც დაიწყო. ზურგზე გაწვებოდა, მტკივან ფეხს მაღლა აიშვერდა და ასე მიცურავდა. ზოგჯერ თვითონ არც კი ჩანდა, მხოლოდ ფეხი ჰქონდა წყლიდან ამოშვერილი. ამხანაგები დასცინოდნენ: წყალქვეშა ნავი ხარო. ერთხელ ფეხი დაუსველდა. რაკი სისველემ არ შეაწუხა, ჭრილობებს ყურადღება აღარ მიაქცია. თანდათან რბენასაც შეაჩვია მტკივანი ფეხი. მცირე ტკივილს არაფრად აგდებდა, რადგან უნდოდა მალე მორჩენოდა და თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. ბოლო დროს მარტოობას ეტანებოდა. ბიჭებთან ყოფნა ძველებურად აღარ ახალისებდა. თავის გამოჩენის სურვილი, რომელიც ადრე ფარულად აწვალებდა, ახლა თანდათან უქრებოდა. ჩამოჯდებოდა რიყეზე, ფრიალა ქვებს ესროდა მდინარის ზედაპირს. წყალზე ქვის მოკლე ანასხლეტებს ითვლიდა უგუნებოდ, მერე რიყეზე წამოწვებოდა, მკლავებს თავქვეშ მოიკეცავდა და თვალებში ზეცას ჩაიგუბებდა. საკუთარი თავით იყო უკმაყოფილო. ბრიყვულად მომივიდაო, ფიქრობდა და უკვე მერამდენედ იხსენებდა ყველაფერს დაწვრილებით: ხოჭოს ხმა მოესმა და მაშინ აჩქარდა. რატომ? უნდოდა ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ ძლიერი იყო და არ იჭიმებოდა. ხოჭო კი არ ტყუოდა: მართლაც იჭიმებოდა. ეშინოდა და მაინც ბაქიობდა — შემხედეთ, რა გულადი ვარო.

მშობლები შეჩვეულნი იყვნენ: მზიან დღეს იმედო მდინარეში დილაადრიან ბანაობდა, შემდეგ პირსახოცით ტანს დაიზელდა და მთელ დღეს ჩიტივით მსუბუქად გრძნობდა თავს. მშობლებს ეჩვი რომ ჰქონოდათ, ბიჭი კვლავ კლდის ქიმიდან გადმოხტომაზე ფიქრობს და ყოველ დილით იქ ზისო, უთუოდ საღმე გადახიზნავდნენ. მაგრამ არავინ არაფერი არ იცოდა და იმედოც არხეინად იყო. როგორც კი იმ ადგილზე დადგებოდა, საიდანაც უნდა გადმომხტარიყო, იმედოს ეჩვენებოდა, რომ წყალი შორდებოდა ნაპირს და მანძილი მდინარემდე საგრძნობლად დიდდებოდა. უკან დაიხევდა თუ არა, მანძილი მცირდებოდა და ნახტომი ადვილად შესასრულებელი ჩანდა. ამ მოჩვენებითს სიშორე-სიახლოვეს მნიშვნელობა ჰქონდა. იმედოს უნდა ჩანერგოდა რწმენა, რომ წყალი ახლოს იყო და აქედან გადახტომა ადვილად შეიძლეობდა. მცირეოდენი შიშიც კი უნდა ჩაეკლა...

•

მზე ამოდიოდა. მისი კაშკაშა სხივები მდინარის ხეობას ეფინებოდა. მოხუცმა კაცმა, რომელიც წყლისპირზე გადმოდგმული ოდა-სახლის ეზოში სიმინდს თოხნიდა, ქურთუკი გაიხადა, თოხის ტარს დაეყრდნო და დილის მზით განათებულ ხეობას გადახედა. უცებ მოულოდნელობისაგან გაშეშდა: მაღალი კლდის ქიმზე ყმაწვილმა გადაირბინა, ფრინველივით აიჭრა ჰაერში და წელში გადახრილი, ჩამოშვებულ ხელებში თავჩარგული დაეშვა. ამას მოჰყვა წყლის შხაპუნის ხმა და კვლავ ყველაფერი მიწყნარდა. მოხუცს შეშმუხნული სახე გაეხსნა, გაეღიმა.

— გიჟები არიან ეს ოხრები, — ჩაილაპარაკა და თოხნა განაგრძო. — მოიცა, მოიცა, ეგ რომელი უნდა იყოს?! — თოხნა შეაჩერა. სოფელი დიდი არ იყო და აქ მობანავე ბიჭებს თითქმის ყველას იცნობდა. თოხი ტანაყრილ სიმინდზე მიაყუდა და მდინარისაკენ გაემართა.

ბიჭს უკვე ტანთ ჩაეცვა. მოხუცმა თვალები ხელით მოიჩრდილა:

— შენ გაბრიელის ბიჭი არა ხარ?

— დიახ!

— ამას წინათ ფეხი რომ მოიტეხე?

— ჰო.

— მერედა, შე ყურმუსაღო, კიდევ გაბედე გადმოხტომა?! — იკივლა მოხუცმა.

ბიჭი შეკრთა, მაგრამ მოხუცის ხმა მკაცრი არ იყო და მიმნდობლად შეჰღიმილა:

— არც ისე დიდი საქმეა. უკვე სამჯერ გადავხტი.

— ერთი ვნახო მამაშენი და...

— ნუ ეტყვით, იორდანე ბაბუა, — მოტყდა უცებ ბიჭი. — ძალიან გთხოვთ, ნუ ეტყვით, რა!

მოხუცმა ღიმილი თეთრ ულვაშებში ჩამალა.

— გახსოვს, რომ დაგიძახე, არ გადმოხტე-მეთქი?

— კი, — თავი ჩაჰკიდა ბიჭმა.

— ჯიუტი ყოფილხარ, იმედო.

— ახლა თუ ვინმე მხედავდა, არ მეგონა, იორდანე ბაბუა. თანაც პირობა დავდე, რომ იქიდან აუცილებლად გადმოვხტებოდი.

— ვის მიეცი პირობა? — დაინტერესდა მოხუცი.

— ჩემს თავს.

— შენს თავს?! — გაუკვირდა მოხუცს. — უყურე შენ! — კვლავ შეუტოკდა ულვაში, მერე ისევ შეიჭმუხნა წარბები.

— საფრთხეს არ უნდა გაუთამამდე, ბიჭო!

— ვიცი.

— ჰმ... იცის! არაფერიც არ იცი ჯერ. ისე, ცუდი ბიჭი მაინც არ ჩანხარ.

მოხუცმა ძარღვიანი მარჯვენა ბიჭს მხარზე ჩამოადო.

— ჩემი სახლი ხომ იცი?

თავდახრილმა ბიჭმა მესერშემოვლებულ ოდა-სახლს წარბებს ქვემოდან გახედა და თავი დაიქნია.

— როცა დრო გექნება, მოდი. ხილი მაქვს ბევრი, ამხანაგებთანაც გაგატან.

— გმადლობთ, იორდანე ბაბუა, გესტუმრებით, — დაუფარავი სიხარულით უპასუხა ბიჭმა და მოხუცის კეთილ თვალებს მზერა გაუსწორა.

ვიდრე რუსეთს თვითმპყრობელი მეფე განაგებდა, ვიდრე რკინიგზას უცხოელი მაგნატები პატრონობდნენ, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ყოველგვარი სიახლისათვის საავტომობილო საქმეში, ამ სახის ტრანსპორტის განვითარების იდეას განხორციელება არ ეწერა.

მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმოდათ ავტომობილის სიკეთე. ისინი მოითხოვდნენ საავტომობილო ქარხნების აშენებას, გზების გაყვანას სხვადასხვა მხარეში და ა. შ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსმა გამომგონებელმა და მეწარმემ გურევმა წამოაყენა ხით მოპირკეთებული საავტომობილო გზების ფრიად ორიგინალური პროექტი. ზამთრობით იმავე გზებით მარხილებიც ივლიდნენ, მაგრამ კარგი ჩანაფიქრი ხორცშეუსხმელი დარჩა.

იყო მრავალი სხვა წინადადება და ღაკვეთა, რათა ორთქლიანი ეტლები გამოეყენებინათ მოსკოვ-პეტერბურგის გზაზე. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აღსრულდა საუკუნო ოცნება.

ჩვენს დროში საავტომობილო გზები სამ შემადგენელ ნაწილად იყოფა: **საერთოსაკავშირო, რესპუბლიკური** და **შიდასაოლქო.**

...და ავტომანქანები მიმოდიან ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მაგისტრალებზე. მარტო საქართველოს დედაქალაქში მათი რიცხვი 40 ათასს აღემატება. ამ **მანქანებით გადააქვთ ხუთჯერ მეტი ტვირთი და გადაჰყავთ სამჯერ მეტი მგზავრი,** ვიდრე ყველა დანარჩენი სახის ტრანსპორტს ერთად აღებულს.

რა თქმა უნდა, სახალხო მეურნეობის ამგვარად განვითარებულ მოწინავე დარგს თავისი შესაფერი კანონებიც სჭირდება.

ერთ-ერთი ასეთი და ამასთანავე მკაცრი კანონია გზებზე მოძრაობის წესები, რომელიც **ერთნაირად ეხება, როგორც მანქანებსა და მათ მძღოლებს, ასევე ფეხით მოსიარულეთაც.**

გავეცნოთ, თუ როგორ იქმნებოდა გზების კანონი და რა ცვლილება განიცადა მან დღემდე.

ჯერ კიდევ ავტომობილის შექმნამდე საჭირო გახდა ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგება. და აი, 1683 წელს რუსეთში გამოქვეყნდა ქუჩაში მოძრაობის წესები ცხენიანი ეტლებისათვის და სიკვდილით დასჯითაც კი ემუქრებოდა ამ წესების დამრღვევს.

ახალგამოჩენილი მანქანის საჭესთან ჯდომა პირველ ხანებში ყველას შეეძლო, მაგრამ როცა ავტოავარიები გახშირდა, ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა წამოაყენა წინადადება, რათა მანქანის მფლობელები დაებეგრათ გარკვეული თანხით, ხოლო პოლიციას გამოეცადა ისინი მანქანის მართვამდე. მძღოლის პირველი მოწმობა გაიცა გერმანიაში 1910 წელს. ამის შემდეგ მსგავსი მოწმობები შემოიღეს ევროპის სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის რუსეთშიც, მოგვიანებით კი ამერიკასა და აზიაში.

მანქანაზე პირველი სანომრე ნიშანი გაუკეთებია გერმანელ ვაჭარს რუდოლფ ჰერცოგს 1901 წელს. ნომერი ასე იკითხებოდა „ია-1“. თურმე ჰერცოგს თავდავიწყებით ჰყვარებია მეუღლე და მისი სახელისა და გვარის ინიციალები გამოუყენებია სანომრე ნიშანზე, ციფრი „1“ კი ნიშნავდა, რომ მეუღლე მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული იყო. შემდგომში სანომრე ნიშნებს პოლიცია იძლეოდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოძრაობის პირველი წესები შემოიღო სახალხო კომისართა საბჭომ 1920 წლის 10 იანვრის დეკრეტით („ქალაქ მოსკოვსა და მის მიდამოებში ავტომოძრაობის შესახებ“), რომელსაც ხელს აწერდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

1926 წელს პირველად შემუშავდა საგზაო სასიგნალო ნიშნების ტექნიკური პირობები. 1930 წელს მოსკოვსა და ლენინგრადის ქუჩებში გამოჩნდა პირველი ელექტროფიცირებული შუქნიშნები. 1935 წლიდან იწყება ქუჩის საცალი ნაწილის მონიშვნა. დიდ უხერხულობას იწვევდა ის გარემოება, რომ მოძრაობის წესებს ამუშავებდნენ ადგილობრივი ორგანოები და წესები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ასე რომ, მოსკოველი მძღოლი ვერ ატარებდა მანქანას თბილისის ქუჩებში და პირიქით. ამან განაპირობა ის, რომ 1940 წელს შემუშავდა სსრ კავშირის ქალაქების ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის პირველი ტიპიური წესები.

1957 წელს შემოიღეს ახალი წესები, რომელმაც უფრო ინიციატივიანი გახადა მძღოლის მუშაობა. ამ წესების მიხედვით 1959 წელს მოკავშირე რესპუბლიკებმა შექმნეს რესპუბლიკური მოძრაობის წესები.

საავტომობილო ტურიზმის განვითარებისა და საერთაშორისო გადაზიდვების გაფართოების მიზნით

* **გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1959 წელს სსრ კავშირი შეუერთდა საგზაო მოძრაობის 1949 წლის საერთაშორისო კონვენციას და „ოქმს საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ“. ეს დოკუმენტი დაამუშავეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მიიღო გაერთიანებული ერების საგზაო და საავტომობილო ტრანსპორტის კონფერენციამ, რომელიც 1949 წელს შედგა ჟენევაში. 1963 წლისათვის კონვენციას უკვე 67 ქვეყანა შეუერთდა.

1961 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ქვეყნის მთელი ტერიტორიისათვის გათვალისწინებული მოძრაობის პირველი ერთიანი წესები, რომლებიც შემუშავდა საერთაშორისო კონვენციის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ეს წესები ნაკლოვანებებითაც ხასიათდებოდა, ამიტომ 1965 წელს ჩამოყალიბდა მოძრაობის ახალი წესები, რომელიც ძალაში იყო 1973 წლის პირველ იანვრამდე.

ამჟამად მოქმედებაშია „სსრ კავშირის გზებზე მოძრაობის წესები“, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი წინამორბედისაგან. მაგალითად, საგზაო ნიშნების რიცხვი 78-დან 124-მდე გაიზარდა. შეიცვალა მათი ფორმა და საერთო სილუეტი, ცვლილებაა გზაჯვარედინებზე გავლის, ხმოვანი სიგნალის გამოყენებისა და სხვა წესებშიც. ამაზე გვექნება საუბარი მომდევნო წერილებში.

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ ავტოინსპექტორების ერთგული თანაშემწეა ბევრი თქვენი თანატოლი. მარტო თბილისში „ნორჩი ავტოინსპექტორის“ სამკერდე ნიშანს ატარებს 600-ზე მეტი პიონერი. ესენი არიან სწავლასა და შრომაში წარჩინებული ყმაწვილები, მომავალი ავტოინსპექტორები და მძღოლები, ინჟინრები და ექიმები — ჩვენი თაობის ღირსეული შემცვლელები.

ჩვენ ერთად ვემსახურებით დიდ საქმეს— ადამიანის სიცოცხლის დაცვას. მოძრაობის წესების შესწავლა და ზუსტად შესრულება კი ამ საქმის წარმატების გარანტიაა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲕᲐᲟᲐ ᲒᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის ავტოინსპექციის ინსპექტორი.



1. „ნეიელდორფერი“ (ავსტრია-უნგრეთი, 1899 წ.). 2-ტონიანი, 12 ცხ. ძალიანი, სიჩქარე — საათში 10 კმ.

2. „უაიტი“ (აშშ, 1915-1923 წ.), 3-ტონიანი, 22,5 ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 20 კმ.

3. ამო-ფ 15 (სსრკ, 1924-1930 წ.). 1,5-ტონიანი, 35 ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 50 კმ.

4. ზის-5 (სსრკ 1934-1958 წ.). 3-ტონიანი, 73-85 ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 70 კმ.

ჭრა-კერვა

ჭრა-კერვის ცოდნის სურვილი ძალიან ბევრ გოგონას აქვს და, მართლაც, ვინც ეს საქმე იცის, იგი ლამაზად და გემოვნებით ჩაიცვამს: შეიკერავს ახალ კაბას, კოსტიუმს, გადაიკეთებს და სხვა...

ყოველივე ამის ცოდნა ძნელი არ არის, თუ დავეუფლებით ნახაზის აგების ძირითად წესებს, ქსოვილის თარგით გამოჭრასა და კერვის ტექნოლოგიას. ჭრა-კერვა მარტივი ნაკეთობიდან უნდა დავიწყოთ და თანდათან უფრო რთულზე გადავიდეთ.

სანამ ზომების აღებასა და ნახაზის აგებას შეუდგებოდეთ, ჯერ კაბის ფასონი და ქსოვილი უნდა შევარჩიოთ, გამხდარმა გოგონებმა გრძელზოლებიანი კაბა არ უნდა შეიკერონ, რადგან უფრო განივზოლებიანი, დიდრონი ყვავილებით დაჩითული, ან უჯრულა ქსოვილი მოუხდებათ. ქსოვილი ღია ფერისა უნდა შეარჩიონ.

სრულმა გოგონებმა კი, პირიქით, უფრო მუქი ფერის ან ზოლიანი უნდა ატარონ.

გავეცნოთ საკერავ მანქანას.

საკერავი მანქანა სწრაფად და ადვილად კერავს, ავლებს ლამაზსა და სწორ გვირისტს. მანქანამ რომ კარგად შეკეროს, ხშირად უნდა დავზეთოთ და გავასუფთავოთ ქსოვილის ხაოსა და ბუსუსისაგან, რომლებიც კერვის დროს მის შიდა ნაწილებში ცვივა. მანქანას უნდა ეხუროს თავისი ხუფი ან ქსოვილის ნაჭერი.

კერვის დროს ქსოვილს ნემსი და ფეხი ეხება. იგი უნდა მარცხენა მხარიდან დავიტიროთ, რათა ნემსიც გამოჩნდეს და გვირისტის სისწორესაც თვალი ვადევნოთ.

კერვისათვის მანქანა ასე უნდა მოვამზადოთ: მასრაზე დავახვიოთ ქსოვილის ფერის ძაფი. ჩავდოთ მაქოში და მოვათავსოთ ბუდეში, ძაფის ბოლო გამოვსწოროთ 10 სმ სიგრძეზე. ასეთივე ძაფი ვიხმაროთ ზემოდან — ნემსზე. შემდეგ ვაკეთებთ ორ-სამ ბრუნვას — ცრუ გვირისტს, რათა ზედა და ქვედა ძაფები შეეერთოთ. ეს ძაფები გავიყვანოთ ფეხს იქით — უკან, ქსოვილი კი დავდოთ ფეხის ქვეშ. მოვაბრუნოთ მკნევარა ბორბალი, ჩამოვუშვათ ნემსი, ჩამოვდგათ ფეხი ქსოვილზე და დავიწყოთ კერვა. მუშაობის დროს თვალი ვადევნოთ ქსოვილს, რომ გვირისტი ბლანდს გასწვრივ მისდევდეს.

კერვის დროს მანქანასთან ახლოს უნდა ვიჯდეთ, მარცხენა ხელი გვედოს ქსოვილზე, მარჯვენათი კი ვაბრუნოთ მკნევარა ბორბალის ტარი.

როგორც წესი, უნდა გვქონდეს სამუშაო ყუთი და მასში გვეწყოს საზომი, მაკრატელი, სამკუთხედი, ქინძისთავები, ცარცი, ქაღალდი, ფანქრები — ესე იგი ყველა ის საჭირო იარაღი, ურომლისოდაც შეუძლებელია ზომის აღება, თარგებისა და ქსოვილის გამოჭრა.

რა არის ზომის აღება? როცა ტანს გავზომავთ საზომით და შემდეგ ქაღალდზე თარგის გეგმას მოვახაზავთ.

ყოველ ნაკეთობას ახასიათებს ზომის აღების თავისებურება. მაგალითად, კაბას სულ სხვანაირი ზომები აქვს, პერანგს სხვა, კოფთას სხვა და ა. შ.

ნახაზის შესადგენად არსებობს ხუთი ძირითადი ზომა:

1. **ნაკეთობის სიგრძე.** ნაკეთობის სიგრძე, რომ დავადგინოთ, საჭიროა საზომის დასაწყისი შევუთავსოთ ხერხემლის მეშვიდე მალას, ჩამოვუშვათ შეეულად ზურგზე და სასურველი სიგრძის ოდენობა ქაღალდზე ჩავიწეროთ.

2. **მკერდის გარშემოწერილობა.** საზომს გამოვატარებთ იღლიის ქვეშ და შევაერთებთ მკერდის ყველაზე ამაღლებულ ადგილზე.

3. **წელის გარშემოწერილობა.** საზომს შემოვარტყამთ ქამრის ხაზზე.

4. **თეძოს გარშემოწერილობა.** ვზომავთ თეძოს ყველაზე განიერ ადგილს.

5. **სახელოს სიგრძე.** სახელოს სიგრძის ასაღებად საზომის დასაწყისს ვადებთ მხარზე (იმ ადგილას, სადაც მკლავი მხარს უერთდება) და ვზომავთ მკლავს მაჯამდე (ხელის მტევნამდე).

გარდა ნაკეთობისა და სახელოს სიგრძისა, ყველა დანარჩენ ზომებს ვყოფთ ორზე.

წინსაფრის შეკერვა

წინსაფარი სასურველია შეიკეროს ისეთი მტკიცე ქსოვილებისაგან, როგორიცაა ტილო, ჩითი და სატინი:

წინსაფრის ნახაზის ასაგებად საჭიროა სათანადო ზომების წინასწარ აღება:

1. ნაკეთობის სიგრძე;
2. წელის ნახევარგარშემოწერილობა;
3. წინსაფრის მკერდის სიგრძე;
4. მკერდის ნახევარგარშემოწერილობა.

ზომების აღების შემდეგ დაიწყეთ ნახაზის აგება.



ვთქვათ, მოცემული გვაქვს შემდეგი ზომები:

1. ნაკეთობის სიგრძე — 60 სმ;
2. წელის გარშემოწერილობა — 33 სმ;
3. წინსაფრის მკერდის სიგანე — 20 სმ;
4. მკერდის ნახევარი სიგანე — 10 სმ.

„ა" წერტილიდან გავავლეთ წელის ნახევარგარშემოწერილობის 33 სმ ხაზი და აღნიშნეთ „ა" წერტილით. აქედან ზევით აზომეთ მკერდის სიგრძე 20 სმ და აღნიშნეთ „ვ" წერტილით, „ვ" და „ა" წერტილებიდან შეეულად გავავლეთ ნაკეთობის სიგრძის 60 სმ ხაზი და აღნიშნეთ „ც" წერტილით. „ვ" წერტილიდან მარჯვნივ გადაზომეთ მკერდის ნახევარი სიგანის 10 სმ ხაზი და აღნიშნეთ „$ვ_1$" წერტილით. „ა" და „$ა_1$" ხაზზე „$ვ_1$" წერტილიდან ჩამოუშვით შეეული ხაზი და აღნიშნეთ „$ა_2$" წერტილით. „ც" წერტილიდან „ა" და „$ა_1$" პარალელურად გავავლეთ ხაზი და მიუმატეთ 4 სმ და აღნიშნეთ „$ც_1$" წერტილით, „$ა_1$" და „$ც_1$" წერტილები შეაერთეთ. „$ც_1$" წერტილიდან „$ა_1$" წერტილისაკენ აზომეთ 4 სმ და აღნიშნეთ „$ც_2$" წერტილით. „ც" და „$ც_2$" წერტილები შეაერთეთ. „$ვ_1$" წერტილიდან გადაზომეთ „ვ" წერტილისაკენ 3 სმ, ხოლო „ვ"

წერტილიდან „ა“ წერტილისაკენ 4 სმ. ეს წერტილები შეაერთეთ. სამხრეეებისათვის კი აიღეთ 45 სმ სიგრძისა და 7 სმ სიგანის ქსოვილი.

ჯიბის სიგრძე 16 სმ-ია სიგანე კი — 14 სმ.

ამ ნახაზის თარგით შემდეგ ქსოვილისაგან გამოჭრით ნაკეთობას და შეკერავთ.

ქარგულობა

ქარგვა ძველებური ხელსაქმის ერთ-ერთი სახეა, რომლითაც შეიძლება ჩვენი ყოფა-ცხოვრების დამშვენება-გალამაზება.

მხატვარს აქვს თავისი პალიტრა და ყუთი ფუნჯებისა და საღებავებისათვის. ხელსაქმის მოყვარულს კი უნდა ჰქონდეს სათანადო მასალა — იარაღები — და მათ პატარა უჯრებად დაყოფილ განსაკუთრებულ ყუთში ინახავდეს. უჯრები განკუთვნილია ძაფებისათვის, ნემსებისათვის, მაკრატლისათვის, სათითისათვის, საზომისათვის და ა. შ.

ნემსი რომ არ დაიუანგოს, შალის სქელ ნაჭერზე უნდა დამაგრდეს. მაკრატელით კი, ქსოვილის გარდა, ნურაფერს გაჭრით (ქაღალდს, მუყაოს და სხვ.) და იგი მუდამ მჭრელი იქნება.

ნემსის ხმარებასაც ისევე უნდა შეჩვევა, როგორც ფანქარსა და კალმისტარს ეჩვეოდით.

ბავშვებო! სანამ სხვადასხვა ნაკერს გაეცნობით, საჭიროა იცოდეთ, რომ ქსოვილი ორნაირი სახის ძაფისაგან შედგება: სიგრძივი ძაფი — ქსელია, სიგანისა კი — მისაქსელი — ნაწიბურიდან ნაწიბურამდე. ნაწიბური კი ქსოვილის ნაპირია.

ქსოვილი უნდა შევარჩიოთ ნაკეთობის დანიშნულების მიხედვით, მაგალითად, სუფრისა და ხელსაწმენდებისათვის თეთრი ან რუხი ფერის ტილოს ქსოვილი უნდა გამოვიყენოთ, რადგან ეს ფერები უფრო მიზანშეწონილია ნაქარგებისათვის და ამასთანავე ფონადაც კარგია.

იმის მიხედვით, თუ რა ნაკეთობა უნდა დამზადდეს, ქარგვის დროს იხმარება სხვადასხვა ძაფი: ირისის, მულინეს, აბრეშუმის, შტაპელისა და სხვა. საქარგავი ძაფის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 60 სმ და ბოლოში არ უნდა იყოს გამოკვანძული.

ქარგვა მოიცავს მრავალნაირი სახის ნაკერებს. ესენია: წინ ნემსის წვერი. უკან ნემსის წვერი, ღეროიანი, ჯაჭვური, მარყუჟისებური, ჯვრისებური, ორმაგი ჯვრისებური, გლადისებური, შემაერთებელი, გიპიურისებური და სხვა. — ამათაგან ყველაზე მარტივია წინ ნემსის წვერი (ნახ. № 1). ეს ნაკერი იხმარება როგორც დამხმარე (გლადის ფუძის დასაბლანდავად), ისე დამოუკიდებელი ნაკეთობის შესასრულებლად.



უკანნემსისწვერით შესრულებული ნაკერით ვღებულობთ მანქანისებურ გვირისტს (ნახ. № 2).



მარყუჟისებური ნაკერი გამოიყენება გაჭრილი და ჰაეროვანი მარყუჟების (პეტლების) დამუშავების დროს. სწორედ აქედან მიიღო მან ეს სახელწოდება — მარყუჟისებური. (ნახ. № 3).



ნაქარგი № 1
წინსაფრის გაფორმება აპლიკაციით

თქვენს მიერ შეკერილი წინსაფარი რომ ლამაზი იყოს, არშიებით ან ქარგულობით უნდა მოირთოთ. თუ წინსაფარი სოკოს აპლიკაციით გინდათ დაამშვენოთ, მაშინ აიღეთ წითელი და ყვითელი ფერის

ქსოვილები. სოკოს ფეხი გაიკეთეთ ყვითელი, ქუდი კი წითელი ქსოვილისაგან. ამ ქსოვილებზე გადასაყვანი ქაღალდით გადაიტანეთ სოკოს ფეხი და ქუდი. ნახატიდან 1/2 სანტიმეტრის სიგანეზე შემოჭერით ზედმეტი ქსოვილი. შემდეგ ეს ნაწილები დაამბლანდეთ წინსაფარს შესაფერ ადგილზე. ჯერ სოკოს ფეხი დამბლანდეთ და ნახატის ხაზზე შემოუარეთ მარყუჟისებური ნაკერით (როგორც ზემოთ არის

ნაჩვენები). შემდეგ ფეხის ზემოთ ასევე შემოჭერით და დაამბლანდეთ წითელი ქსოვილისაგან სოკოს ქუდი და ისიც ამავე ნაკერით შემოქარგეთ.

თუ ქარგულობას ნაპირზე ზედმეტი ქსოვილი დარჩა, იგი პატარა, მჭრელი, მრგვალწვერიანი მაკრატლით შემოსჭერით. თეთრი მულინეს ან კოჭის ძაფისაგან სოკოს ქუდზე ამოუქარგეთ პატარა წერტილები, ხოლო ფეხის ძირზე მწვანე ძაფისაგან — ბალახის ღეროები.

ნანა ყანდარელი.

სუფრის გაკვრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველია, რომ ყველა მოსწავლემ, განსაკუთრებით კი გოგონებმა, იცოდნენ სუფრის ლამაზად გაშლა (საუზმისათვის, სადილისათვის, ვახშმისათვის) და სტუმრის მიღება.

თუ სუფრა საზეიმოა, ის კიდევ უფრო ლაზათიანი უნდა იყოს, ამიტომ საუბარს ამის ირგვლივ წავმართავთ. სუფრის ქვეშ მაგიდას თეთრი ფლანელი ან სხვა რამ რბილი ქსოვილი დააფინეთ (თუ შემთხვევით რამე დაიქცევა, მაგიდა არ გაფუჭდება, ჭურჭლის და დანა-ჩანგლის ხმაურიც ნაკლებად ისმის), ფლანელის ზემოთ გადააფარეთ გატკიცინებული, ქათქათა სუფრა.

ამ ბოლო დროს ხმარებაში შემოვიდა სინთეზური ქსოვილის სუფრები, რომელსაც ტილოს სუფრას ზემოდან აფარებენ დასაცავად. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სუფრას შინაურები უსხედან.

სადილსა და ვახშამზე მიღებულია თეთრი სუფრა, ხოლო საუზმესა და სამხარზე — ფერადი, ჭრელი. თუ ბაღში, ან სადმე ბუნების წიაღში ვსადილობთ, ყვავილებით მოხატული სუფრა უფრო შესაფერი იქნება. სუფრა მაგიდის ორივე მხარეს 20-30 სმ-ით უნდა იყოს გადმოცილებული. თუ ბევრი სტუმარი გყავთ და ერთნაირი ჭურჭელი არ გყოფნით, ეცადეთ ეს ერთნაირი ჭურჭელი ერთ მხარეს დაალაგოთ, რამდენზედაც გასწვდება, დანარჩენს კი მეორენაირი დაუწყეთ. სხვადასხვა მოყვანილობისა და სიდიდის ჭურჭელი ერთმანეთში არ უნდა აურიოთ. რაც ნაკლები იქნება ფერითა და მოხატულობით განსხვავებული ჭურჭელი, მით უფრო ლამაზი გამოჩნ-

დება სუფრა. თეფშები ერთმანეთისაგან 70, უკიდურეს შემთხვევაში, 60 სანტიმეტრზე მაინც უნდა იყოს დაშორებული.

სუფრას ერთიორად ამშვენებს ყვავილები, მაგრამ ლარნაკში ისეთი ყვავილები უნდა ჩაეწყოთ, რომელთაც მძაფრი სუნი არა აქვთ.

სუფრის გაწყობა დაიწყეთ მარჯვნიდან მარცხნივ. წვნიანისათვის კოვზს მოშორებით ვდებთ თეფშის მარჯვენა მხარეს, შემდეგ თეფშთან ახლოს უნდა დადოთ დანა იმ საუზმისათვის, რომელიც სუფრაზე წვნიანზე ადრე მოაქვთ. შემდეგ მეორე დანა დადეთ. დანას მჭრელი პირი თეფშისაკენ უნდა ჰქონდეს, თეფშის მარცხნივ, მოშორებით, ჩანგალი იდოს თევზისათვის. უფრო ახლოს კი მეორე ჩანგალი. კოვზები და ჩანგლები პირქვე დაეწყეთ. თუ სუფრაზე სამი ან სამზე მეტი თავი საჭმელი მოაქვთ, მაშინ დანარჩენ დანებსა და ჩანგლებს თანდათან გამოცვლით თეფშებთან ერთად. სასმისები თეფშების წინ, მარჯვნიდან მარცხნივ დაიწყოს. სუფრა თუ უფროსებისთვის არის განკუთვნილი, 4 ჭიქა უნდა დავდგათ: ერთი წყლისთვის, მეორე შამპანურისთვის, მესამე ღვინისათვის, მეოთხე, სირჩა — მაგარი სასმელისთვის. თუ ბავშვების ლხინია, მაშინ ორ ჭიქას ვდგამთ, ერთს ხილის წვენისათვის, მეორეს — კოკტეილისათვის.

თეფშის მარცხენა მხარეს კომპოტისათვის დადგით ლამბაქი და ზედ პატარა კოვზი დაადეთ.

სუფრა შეგიძლიათ წინასწარ გააწყოთ, სტუმრების მოსვლამდე.

უნდა ვიცოდეთ: კარგი გამასპინძლება მარტო გემრიელი სასმელ-საჭმლის შეთავაზება არ არის. დიდი მნიშვნელობა აქვს წვეულების ატმოსფეროსაც. უნდა სუფევდეს ურთიერთის პატივისცემა, გულითადობა, და ლაღი მხიარულება.

ბავშვებო! ჩვენ საუბარი გვქონდა სუფრის გაშლაზე. ახლა მინდა გავეცნოთ იოლად მოსამზადებელი უცეცხლო ნამცხვრისა და კაკაოს ტექნოლოგიის რეცეპტს.

უცეცხლო ნამცხვარი:

აიღეთ სამი დასტა ჩაის „პეჩენია" და დაფხვენით, ნაფხვენს შეურიეთ $^1/_2$ ჭიქა დაჭრილი ნიგოზი, 200 გრ. კარაქი გათქვიფეთ გათეთრებამდე; შეურიეთ $^1/_2$ ქილა შესქელებული რძე და ცოტა ვანილი. მიღებული მასა დაყავით ნაწილებად, მიეცით სასურველი ფორმა, ამოავლეთ შაქრის პუდრაში და 15 წუთით მაცივარში შედგით.

ამ ნამცხვრის მოსამზადებლად საჭიროა 3 დასტა ჩაის „პეჩენია", $^1/_2$ ჩაის ჭიქა დაჭრილი ნიგოზი $^1/_2$ ქილა შესქელებული რძე, 200 გრამი კარაქი, ვანილი.

კაკაოს მომზადება

კაკაოში აურიეთ შაქრის ფხვნილი და ჩაყარეთ ცხელრძეში. ურიეთ განუწყვეტლივ, ადუღეთ 2 წუთი.

კაკაოს მოსამზადებლად საჭიროა:

10 გრამი კაკაო, 20 გრამი შაქრის ფხვნილი, 200 გრამი რძე.

ლეილა ახობაძე.

ჩვენი ეფემერიდები

ჩვენი საცხოვრებელი ბინების დამამშვენებელ მცენარეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაქტუსებს. ამ „ეკლიან მახინჯებს" ბევრი მოყვარული და კოლექციონერი ჰყავს. ეს მცენარე საინტერესოა თავისებური ფორმით, გამძლეობითა და შესანიშნავი ყვავილებით. ოთახის პირობებში ისინი მეტად ნელა იზრდებიან და სხვა ფოთლოვან მცენარეებთან შედარებით, მცირე ადგილი სჭირდებათ. მაგალითად, ჯუჯა კაქტუსთა პატარა კოლექცია ქოთნის ნატეხშიც კი მოთავსდება.

ამჟამად ეს საოცარი ბოტანიკური ოჯახი სამი ათასამდე სახეობას ითვლის. მაგრამ მეცნიერები ანდებში (ამერიკა) ექსპედიციების დროს მათ ახალ-ახალ სახეობებს პოულობენ.

კაქტუსების — ექინოკაქტუსების, ექინოფსისების, ოპუნციების, ცერეუსების, რებუციების, ნოტოკაქტუსების, ლობივიების, ასტროფიტუმების, მამილარიებისა და სხვათა სამშობლო უმთავრესად ამერიკის უდაბნოებია, სადაც ეს მცენარეები გასაოცარი სიდიდისა და ნაირ-ნაირი მოყვანილობისანი არიან. ყვითელ ქვიშაზე გორაობენ მეტრნახევარი სიმაღლისა და ორმეტრნახევარი სიგანის, გრძელი ეკლებით შემოსილი წიბოვანი ბურთები, რომლებიც გოლიათ ნესვებს ან ზღარბებს მოგვაგონებენ. ზოგიერთი კი ისეა დაფარული ყვითელი ან მოწითლო გრძელი ეკლებით, რომ შორიდან დაფრენილი ფრინველი, ან



ხალიჩა და ბაქტერიები



ზვიგენს მუსიკა უყვარს

თუ იატაკი სარკესავით პრიალებს და ზედ ხალიჩა არაა დაგებული, მიგიყვანს თვალსაზრისით, იგი იდეალურად არის მიჩნეული. სინამდვილეში კი ეს აზრი მცდარია. ხალიჩა, მართალია, მტვერს „აგროვებს", მაგრამ ამასთანავე ბაქტერიებსაც „ნთქავს". და, რაც მთავარია, ბაქტერიებს საშუალებას არ აძლევს კვლავ მოხვდნენ ჰაერში, ესე იგი მათი შთანთქმელი ფილტრია. გაპრიალებული იატაკი, პლასტიკისა იქნება იგი თუ პარკეტისა, ცხადია, ვერ იქნება ასეთი ფილტრი. ცდებით დამტკიცდა, რომ ყველაზე კარგი „ფილტრია" თანამედროვე ნეილონის ხალიჩა, რადგან მასზე დასხმული წყალი სწრაფად ორთქლდება და ვირუსებიც სწრაფად იხოცებიან.

ამ ბოლო წლებში ავსტრალიის სანაპიროებთან 360 კაცი გახდა ზვიგენის მსხვერპლი. რა ვიღონოთ ზღვის ამ საშინელ მტაცებელთა წინააღმდეგ? — ამ კითხვამ ბევრი ავსტრალიელი მეცნიერი დააფიქრა. და აი, სპეციალისტებს ფრიად ორიგინალური



რომელიმე წამოწოლილი მხეცი გეგონებათ. ზოგიერთი კაქტუსის სხეულს ფარავს გრძელი, ჩამოშვებული თეთრი „თმა“, რომელიც მოხუცის თავს მოგვაგონებს.

გიგანტურ, მწვანებურთება კაქტუსებთან ერთად ამ უდაბნოში იზრდება ჯუჯა კაქტუსებიც — პატარ-პატარა ეკლიანი ბურთები.

მექსიკის უდაბნოში შეხვდებით ბოძისმაგვარ კაქტუსებს, რომლებსაც ცერეუსებს უწოდებენ. ეს ნახევარი მეტრი სისქის მრავალწახნაგოვანი მწვანე სვეტები თხუთმეტ მეტრზე იზრდებიან, მათი ეკლითა და ქერცლით დაფარული ღეროები ურჩხულებივით მოჩანან.

კაქტუსი ოპუნცია ნახევარ მეტრამდე სიგრძის ეკლებით არის შემოსილი, ლავაშივით ბრტყელია და სხვადასხვა მიმართულებით არის განტოტებული. ოპუნციების ტყეში მოხვედრილი მოგზაურისათვის უკან გამოსვლა მეტად ძნელია. გველისებური კაქტუსის სხეული გრძელი, მიხრილ-მოხრილი და ეკლიანია. ამ სახეობის კაქტუსების ყვავილი ერთ-ერთი ულამაზესთაგანია მსოფლიოში. იგი მხოლოდ ღამის სიბნელეში იშლება, მოთეთრო-ოქროსფრად ციმციმებს, ვარსკვლავის მოყვანილობისაა, სიდიდით — მოზრდილი თეფშის ოდენა. ირგვლივ ვანილის მსგავს არომატულ სურნელებას აფრქვევს. გველისებური კაქტუსის ყვავილი საღამოს 10 საათიდან ღამის 3 საათამდეა გაშლილი. დილით ადრე უკვე შემჭკნარი ზის დაკლაკნილ ეკლიან ღეროზე. ამიტომ ამ კაქტუსს „ღამის დედოფალს“ უწოდებენ.

კაქტუსის სხვა სახეობებსაც ლამაზი ყვავილები აქვთ — ყვითელი, ან მეტწილად წითელი ფერისა. ისინი დღისით იშლებიან.

ბევრს, ალბათ, უნახავს, როგორ ყვავის ოთახის ფანჯარაზე ფილოკაქტუსი (ეპიფელოიუმი), მისი ყვავილი ზოგი ალისფერია, ზოგი, იისფერ-მოშინდისფრო და მოვარდისფრო-თეთრი შეფერილობისაც გვხვდება. ფილოკაქტუსის ღერო შებრტყელებულია და ფოთლის მოყვანილობა აქვს. სწორედ ამიტომ ჰქვია მას ფოთლოვან-ღეროვანი კაქტუსი (ფილოფოთოლი). თუ ფილოკაქტუსის ერთი ყვავილიდან მტვერს მეორე ყვავილის დინგზე გადავიტანთ, დაყვავილების შემდეგ მივიღებთ კენკროვან ნაყოფს, რომელსაც მომჟავო-მოტკბო გემო აქვს და ანანასის სურნელება დაჰკრავს.

მექსიკაში ოპუნციის მუშტისოდენა ნაყოფს ტუნას, ინდოეთის ლეღვს უწოდებენ. მექსიკელებს ძალიან უყვართ ოპუნციისა და ცერეუსების ნაყოფი. თავისებური ხის თამასებიანი ხელთათმანებით კრეფენ მათ. კაქტუსების წვრილი თესლი ძალიან მალე, ხან თვით ნაყოფშივე ღივდება.

კაქტუსები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იზრდებიან უდაბნოებში, სადაც წელიწადში 9 თვეს წვიმა არ მოდის, ამიტომ მათი ფესვები, რომლებიც ფართოდ არის განტოტვილი ნიადაგის ზედაპირულ ფენაში, წვიმის დროს სწრაფად იწოვენ წყალს და ღეროს უჯრედებში იმარაგებენ. გვალვის დადგომასთან ერთად ფესვების ბუსუსები ხმება, წყალგაუვალი კორპით დაფარული მსხვილი ფესვები კი რჩება.

ამგვარად, კაქტუსები წარმოადგენენ უდაბნოების თავისებურ წყაროებს, წყლის სამარაგო კასრებს. სიცხის დროს ისინი თითქმის სულ არ აორთქლებენ წყალს, თუმცა ჰაერის 37 გრადუსის ტემპერატურის დროს 52 გრადუსამდე ხურდებიან.

ვ. კიკნაძე.

აზრი დაებადათ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ზვიგენზე დიდად მოქმედებს მუსიკა. თუ წყალში ჩავუშვებთ მოწყობილობას, რომელიც რაიმე მელოდიას გამოსცემს, ზვიგენები მყისვე მიცურდებიან მასთან და ყურს მიუგდებენ. ჰოდა, ახლა თვითონ ზვიგენები გახდებიან ადამიანების მსხვერპლი — მათ მუსიკით „ტკბობის“ დროს გაუსწორებენ ანგარიშს.

სახელის ნაცვლად — ნომერი

ერთი შეხედვით უცნაურად მოგვეჩვენება, რომ იაპონელებმა გადაწყვიტეს თავიანთ მოქალაქეთა სახელები შეცვალონ ვეებერთელა, თოთხმეტნიშნიანი რიცხვებით. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. პირველი ცდები უკვე ჩაატარეს ხუთ ქალაქში, სადაც საშუალოდ 200 ათასი მცხოვრებია. გასული წლის ბოლოს 104 მილიონმა იაპონელმა მიიღო პირადი ნომერი.

ზღვის ნიავი — ბინაში

სულ მალე ერთ-ერთი იაპონური ფირმა მასობრივად გამოუშვებს მაგიდის ელექტროვენტილატორს, რომლითაც ოთახში არა მარტო გაგრილდება ჰაერი, არამედ ნებისმიერი სურნელებაც მიმოიფრქვევა.

თუ თითს დავაჭერთ ელექტრონის კასეტს, რომლის ჭრილებში სურნელოვანი ნივთიერებებია მოთავსებული, წარმოვქმნით ზღვის ნიავს, თევზისა და წყალმცენარეთა თავისებური სუნით შეზავებულს, ან დავაკმევთ ტყის სურნელებას.

ხეობების მოყვარულთათვის ვენტილატორს შეუძლია ოთახის ჰაერი ნისლის სურნელებით გაჟღინთოს.

ცრუჩემპიონი

სამხრეთ აფრიკის ქალაქ პრეტორიაში კარგა ხნის განმავლობაში ერთი და იგივე ცხენი იღებდა ყველა პრიზს დოღში. ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ ერთმა ფოტომოყვარულმა ახლოდან არ გადაიღო იგი. როცა ფირი გაამუღავნა, გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა — ცხენი ზოლებიანი აღმოჩნდა. ამის შემდეგ უკვე ფარდა აეხადა ცხენის პატრონის თაღლითობას: თურმე მას შეჯიბრებებზე გამოჰყავდა შეღებილი ზებრა. ზებრა კი, ცნობილია, ცხენზე გაცილებით სწრაფია.

სპორტი ეროვნულ ეროვნულ



ზედიზედ ოთხჯერ-ხუთჯერ გააკეთე ოთხი ასეთი ვარჯიში:

1. ბურთი კედელს მიარტყი, შეხტი და ჰაერში დაიჭირე.

2. ბურთი იატაკზე ან მიწაზე ათამაშე, წინ იმოძრავე, შემდეგ კედელს სტყორცნე და ჰაერში დაიჭირე.

3. კედელთან მიირბინე, შესდექი, ბურთი ძირს დაარტყი, დაიჭირე, უცებ მიარტყი კედელს და უკან წამოსული ჰაერშივე დაიჭირე.

4. კედელთან ზურგშექცევით დადექი, ბურთი ორი ხელით თავსუკან გადააგდე, შეხტი, ჰაერშივე შეტრიალდი და ძირიდან ამხტარი ბურთი დაიჭირე.

ამ თამაშში შეჯიბრიც შეიძლება. ვინც შეუცდომლად შეასრულებს ოთხივე ვარჯიშს, გამარჯვებული ის იქნება.

სარჩევი

ჭილაშვილი ქ. — ბუნების მეგობრები (ნარკვევი) . 1
შამანაძე ნ. — სხივთა ზამაში (მოთხრობა, დასასრული) 4
შალამბერიძე ო. — ცეცხლი და მუხა (ბალადა) . . 8
კილასონია ნ. — სიმღერა მარტისა (ლექსი) . . . 10
ხერგიანი მ. — გეგი და ბაბე (მოთხრობა) . . . 11
ავღანური არაკები — (თარგმანი ლ. მრელაშვილისა) 16
აფხაზავა ნ. — მოხეტიალე სკაფანდრები (ფანტასტიკური მოთხრობა) 17
ცარუკაევი ვ. — ილელუს (ლექსი. თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა) 21
ახალი წიგნები 21
ფიფია თ. — ნახტომი (მოთხრობა) 22
გავაშელი ვ. — მე, ქუჩა და ავტომობილი (წერილი) 26
გამოგადგები 28
ბუნების კარი 30
ჯადოსნური სარკე 30
სპორტი 32
ცხრაკლიტული 3

გარეკანის პირველ გვერდზე „გაზაფხული“, მხატვარი ე. ამბოკაძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ზოლა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ზოლა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცა ასაწყობად 18/I-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/II-73 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 188. ტირ. 134.500. უე 01747.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა







ხეხილის დარგვა

ხეხილის დარგვა თუ გვიან შემოდგომაზე ვერ მოასწარით, გაზაფხულზეც კარგია. (ვიდრე წვენის მოძრაობა დაიწყებოდეს და კვირტი აფუვდებოდეს). ყინვაში დარგვა არ შეიძლება. ზუდან გახსოვდეთ — დარგვის წინ დაშვებული შეცდომა ხეს მთელი სიცოცხლის მანძილზე აჩნდება. ორმოს უნდა ჰქონდეს 0.6 მეტრი სიღრმე, დიამეტრი კი 1-დან 1.5 მეტრამდე. ორმო ამოავსეთ შერეული ამოთხრილი მიწით. ზემოდან კი სასუქი (ოდონდ ისე, რომ ფესვებს არ შეეხოს) ან ტორფის ფქვილი მოაყარეთ. ნესტიანი ნიადაგი დასარგავად არ გამოდგება. ასეთ შემთხვევაში მიწაზე ბორცვი გააკეთეთ. დარგვისას დაზიანებული ფესვები უნდა მოიჭრას. ღრმად ჩარგვა არ არის საჭირო. ხის გარშემო მიწა კარგად შემოტკეპნეთ. შემდეგ ხე შეანქარეთ (რათა მიწა ფესვებს შორის გაჭდეს) და კვლავ შემოუტკეპნეთ. დარგული ნერგი დაუყოვნებლივ უნდა გაისხლას. გასხვლის მიზანია ხის ზრდის რეგულირება და ნაყოფიერების გაზრდა. გასასხლავად საჭიროა: სასხლავი მაკრატელი (სეკატორი), საბნობი ჩაქუჩი და პატარა ხერხი. დიდი გადასაჭრელი კარბოლის სითხით ან მურით უნდა შელესოთ, რათა წვენმა არ იდინოს და ხე არ დაალპოს. ტოტი იმ ყლორტთან უნდა გადაჭრათ, საიდანაც ზრდა იწყება. რეკომენდირებულია ერთწლიანი ნაზარდისათვის სიგრძის ერთი მესამედის (ერთწლიან ყლორტს გამონაზარდი არა აქვს და ამით მიხვდებით) სუსტი ან უხერხულად ამოსული ტოტების მოჭრა. გასხლულ ხეს შეგიძლიათ გარკვეული ფორმა მისცეთ მხოლოდ პირველ ოთხ წელიწადს. შემდეგ კი ძველი ფორმის შეცვლა გაგიჭირდებათ. კარგია, თუ პირველი განშტოება ოთხი ტოტისაგან შედგება. არ უნდა დატოვოთ სუსტი, გამხმარი ან დაზიანებული ტოტები.





პასუხი № 2-ში მოთავსებულ „ცხრაკლიჯულზე"

კროსვორდი

თარაზულად: 1. მონუმენტი; 6. მიკრობი; 8. კომპოტი; 9. პრეკეულე; 10. უნაბი; 12. ტუკი; 14. იდენი; 17. ბაბამ; 19. დრაივი; 23. აგარა; 24. ტრიო; 25. ტალი; 26. ფშანი; 29. მიხაკი; 30. შანხაი; 31. სირია; 36. ლივია; 37. ბაბაი; 38. დარიალი; 39. ურბნისი; 40. იალბუზი; 41. ალიზარინი.

შვეულად: 2. ნეიტრონი; 3. ნიკელინი; 4. მიზანი; 5. იტალია; 7. მეკვლე; 11. ბალადა; 13. ყაყაჩო; 15. დიპლომატი; 16. ნაფეტვარი; 18. არარატი; 20 ვარშავა; 21. არი; 26. ალი; 27. ლიახვი; 28. მინორი; 31. სტეარინი; 32. რეგინი; 33. ანალგინი; 34. ფიგარო; 35. პარიზი.

მოძებნეთ მსგავსება

ზედა ნახატებში მსგავსია: პირველ მწკრივში — 3 და 4, მეორეში 1 და 5, მესამეში — 2 და 4. მეორე ნახატში მსგავსია: პირველ მწკრივში — 3 და 5, მეორეში 1 და 4, მესამეში — არც ერთი.

გაყავით ძალლები

უნდა შეერთდეს 4-20, 12-32, 21-40 წერტილები.

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილები



1





2





3





4





5



6



1. პირველი სპეციალური სარბოლო ავტომობილი „მერსედესი“ (გერმანია, 1901 წ.) ძრავა 4-ცილინდრიანი, 35 ცხ. ძალიანი, ორადგილიანი, სიჩქარე — საათში 87 კმ.

2. სარბოლო ავტომობილი „ბუჩკასი“ (საფრანგეთი, 1904 წ.). ძრავა 4-ცილინდრიანი, 80 ცხ. ძალიანი ორადგილიანი, სიჩქარე — 120 კმ.

3. სარბოლო ავტომობილი „ალფა-რომეო“ (იტალია, 1931 წ.). ძრავა 12-ცილინდრიანი, 230 ცხ. ძალიანი, ერთადგილიანი, სიჩქარე — 240 კმ.

4. სარბოლო ავტომობილი „აუტო-უნიონი“ (გერმანია, 1934-1939 წ.). ძრავა 12-ცილინდრიანი, 285 ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 340 კმ.

5. სპორტული სარბოლო ავტომობილი „მერსედეს-ბენცი“ (გფრ, 1954 წ.). ძრავა 8-ცილინდრიანი, 300 ცხ. ძალიანი, ერთადგილიანი, სიჩქარე — 300 კმ.

6. ავტომობილი „ლოტუსი“. მოდელი „72 ფორდ-კოსვორტი“ (ინგლისი, 1970 წ.). ძრავა 8-ცილინდრიანი, 430 ცხ. ძალიანი, ერთადგილიანი, სიჩქარე — 350 კმ.